


19877  
J 9



Ա Ե Ս Թ Ա Կ Ո Յ

ქართულის სფამბისა და წიგნების ზეჭდვისა

1626—1900

გამოცემა

### 9. ຂອຂອບດອນ

৬৩০৩০৬০

სტემბა ექ. ივ ხელოძის. **▲** თუ. ევ. ზვ. ხელავე.

1900

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 27-го Января 1900 г.

# ი ს ტ ო რ ი ა

ქართული სტამბისა და მწიგნისაბრობის ბეჭდების.

1625—1900

ევროპაში, გუტენბერგისაგან შემოღებულ სტამბის იარაღის მოგონების ცნობები, ერთიან მალე მოიფინა, ახლად დაბეჭდ-ლ წიგნების ცნობები მთელს ევროპას ელვასავებ მოედო, ეს ცნობები ბალაკანის კუნძულზე მცხოვრებ სლავიანებმაც კარგად შეიტყეს. ჩვენშიაც გაიგეს, რომ ევროპაში სასტამბო იარაღი და წიგნის ბეჭდვაც მოუვინიათ. წიგნის ბეჭდვის ამბები მრავალთ სჯეროდათ, მრავალთავის დაუჯერებელი იყო. ჩვენს დაუჯერებლობას მალე მოევლინა უებარი წამალი, ევროპის კათოლიკე სარწმუნოების მალიარებელთ მამათაგან ამის ცნობები საქართველოშიაც მალე მოიფინა, დაუჯერებელი ამბავი დასაჯერებელ ჰქონდა მით უფრო, რადგანაც მაშინ ტფილისში, კათოლიკის სარწმუნოების მალიარებელთ ეპისკოპოზის კათედრაც არსებობდა და კათედრაზე მათი ეპისკოპოსნი განაგებდნენ. ამ მოძღვართ მეოხებით სტამბის ცნობებს გარდა სხვაც ბევრი რამ საურალებო ცნობები გავრცელდა საქართველოში.

ქართველთ თუმცა ადრიდგანეე შეიტყეს, რომ ევროპაში წიგნის საბეჭდი შემოიღესო, მაგრამ მათგან სარგე-

ბლობის ოცნება კი ჰაზრათაც არ მოსდიოდათ. გურუნ-  
ბეჭვმა 1455 წ. გამართა თავის პირველი სტამბა, ამის  
შემდეგ მალე სლავიანთ ტომებმაც იწყეს დამართვა. ამ  
დღიად საქართველოს სომხებმაც დროით ვიაქცის ყურადღება,  
ამათ 1557 წ. ვენეციაში, გამართეს სომხური სტამბა,  
ამის ამბავმაც მოაწია საქართველოში, ამანაც არა მცი-  
რები მნიშვნელობა იქონია ქართველებზე. 1564 წ. რუ-  
სებმა გამართეს მოსკოვს პირველი რუსული სტამბა. ეს  
ამბავიც მალე შეიტყოს ქართველთა, მიეცნენ სტამბის  
ნატვრას, მაგრამ მოხერხება კი ერთობ უძნელდებოდათ.  
საქართველოში სტამბის გახსნის ნატვრას და საქმეებს ის  
გარეშემაც უფრო აფერხებდა, რადგანაც როდესაც ეს  
შესანიშნავი საქე ევროპაში გამზირინდა, სწორედ იმ  
დროს, საქართველოსთვის კი დადგა შავი და ბნელი  
დღეები, იმ დროს იწყეს ჩვენს თავზე მუსულმან მტრებმა  
ნაუარდაბა და პარპაში, აქ სტამბის გახსნისთვის აღარა-  
ვის სცალოდა. ამ დროს საქართველო განცალკევდა ნა-  
წილ-ნაწილ, დაიყა შტოებათ, სამეფოებათ, ჩვენდა სა-  
უბედუროდ, გარეშე მტერთ ვარდა, თვით ქართველთაც  
იწყეს ერთმანერთში მტრობა და ბრძოლა, ხშირად მთა-  
ვარი მთავარს ებრძოდა, სახლიშვილი სახლიშვილს, ხეობა  
ხეობას, მთა მთასა, ბარი ბარს, ქართლი კახეთს, იმერე-  
თი თეის სამთავროებს და ყველა ესენი კი ერთმანერთს.  
ყველა ამავებით კარგათ სარგებლობდა ჩვენს გარშემო  
მყოფ მაპმალანები. მათი მახვილი სასტუკათ გვესვებოდა  
გარს, შინაურ მტრობას მაინცა და მაინც დიდი შესა-  
მჩნევი ზარალი არ მოჰქონდა, რაც იყო და რამაც მო-  
გვილო ბოლო, ეს იყო გარეშე მტერთაგან მოწილილი  
ძალა. გარეშე მტრებთა ბრძოლით ქართველთ ისე გაუ-  
ხდათ საქე. რომ სტამბის გახსნა კი არა და სიცოცხლის  
მფარველობაც კი უჭირდებოდათ.

მრავალნი ჰკეირობდნენ და ჰკეირობენ კიდევ, რომ  
საქართველოში, სტამბის არსებობის ცნობებმა ერთობ  
გერან მოაღწიათ, ქართველებმა სტამბა ერთობ გვიან  
გახსნესო. ვინც ჩვენს წარსულს დააკეირდება, იმას ეს  
საკეირელად არ დაუშთება თუ საქმეს დავაკვირდებით და  
შევადარებთ ქართული სტამბის და წიგნის ბეჭდვის საქმეს  
რუსებისა და სომხებისაგან დახსნალ სტამბებთა რიცხვს,  
ეს მაინცა და მანც შორი-შორს არ გამოვა, სულ 65  
წლის განსხვავებას შეადგენს, პირველი ქართული სტამბა  
1625 წ. რომში იქმნა გამართული, 1626 წ. ქართული  
ანბანის წიგნაკიც გამოიკა. ასე და ამ გერათ, ჩვენ ვხე-  
დავთ, რომ გუტენბერგმა ეკროპაში 1455 წ. გახსნა პი-  
რველი სტამბა, სომხებმა 1557 წ. ვენეციას, რუსებმა  
1564 წ. მოსკოვს და ქართული სტამბა ქართველთ ლა-  
თინის წეს-რიგის პატრიებმა 1625 წ. გახსნეს რომში.  
ისიც უნდა ვსთქვათ, რომ კართველთ შორის სტამბ-ს  
გახსნის საჭიროება XVII საუკ. დამლევსვე გამოითქვა, ეს  
გამოთქმა პირველად ლათინის წეს-რიგის პატრიებისაგან  
დაიძრა, ამას ნატევია მთ ქართველთ დიდებულთა და  
მეფებსაც მოახსენეს. მათი მოხსენება ყველას ესიამოვნა,  
XVII საუკ. დამლევს, რომში მათგან მიწერ-მოწერაც  
გაიმართა, პაპს ავედრებდენ საქართველოს მფარველობას,  
რომში ქართული სტამბის დაარსებას და წიგნების ბეჭდვას.  
ასეთს ნატევია არამც თუ უცხო ქვეყნათა „პრაპაგანდოს“  
ძმები და მამები აღგნენ, არამედ ყველა იმ დროის სხვა-  
და-სხვა ორდენის მმანი და მამანიც, ყველას დიდი სი-  
ბრალული ჰქონდა აზიაში ქრისტიანობის მფარველ სა-  
ქართველოსი. ნამეტურ პატივით უმზერდენ პაპი და მისი  
კარდინალები.

ერთის ლაგინის წეს-რიგის ჲ: ტრისაგან ასეთი ცნობა

არის წარდგენილი პაპის წინაშე ქართველების შესახებ: „მთელს აზიას სამეფოებთ შორის ქრისტიან მეფენი და ერნი მძღვრის მუსულმანებისაგან დაეცნენ, დაეცა თეით ვიზანტია, მაგრამ საქართველო, რომელიც შეა ზღვის და კასპის ზღვის შეუძლებელი რომელ ქვეყნის ხალხნიც განთქმული არიან ქრისტიანობის მუარა-ველობით, დღევანდლაშიც შეინახეს თავიანთი საკუთარი მეფობა, მთელს აზიას დაცუმულ ქრისტიანებს ესერი შევ-ლიან, ამით მეტი მათ მფარველი, პატრიარქი არავინა ჰყავთ. აზიაში ქართველთ დიდი ამაგი, დიდი შრომა მიუძღვით ქრისტიანობის მფარველობისთვის, კავკასიის ერთ შორის სადმე თუ ქრისტიანობა ბრწყინავს, სადმე თუ მისი შუქი ანათებს, ამ შუქის სინაალის მიმუქმნი ქართვე-ლები არიან. ასეთ ლირსეულ, ასეთ თავდადებულ ერთა-თვის საჭიროა სტამბის გახსნა, წიგნების ბეჭდვა. და ოქვე-ნის ოწმინდების მფარველობა, რადგანაც მათ შორის არა მცირედნი სცხავრობენ ისეთნიც, რომელნიც ჩვენს სარწმუნოებას აღიარებენ“. ასეთი ცნობებით აღსალი წერილები მისიანერს მარიოს მაჯინ, სტეფანე პაულინს და ნიკიფორე ირჩახსაც ხშირად უგზავნიათ პაპის წინაშე და დიდათ ცდილან ქართული სტამბის გახსნას. ასათს ასეთს დიდს ნატვრის თვით მათივე საქმის ფაქტები გა-მოაჩენენ. ამათხე ბევრათ წინეთ-კი სხვა მისაონ ერებსაც უსაუბრია და უშროებათ რომის წინაშე ქართული სტამ-ბის გახსნის საჭიროებისათვის.

მხნე მქადაგებელთ მეოხებით რომის უმაღლეს სამ-ღვდელოების წინაშე ძრიგლ უადვილესად დაიბადა პაზ-რი ქართული სტამბის გახსნის შესახებ, ბევრის საუბრის და კამათის შემდეგ უკვე გადაწყდა ქართული სტამბის გახსნის კითხვა და ყველა ხარჯი იყისრა პაპის გამგეო-

ბაზ. ამ საქმეს დიდათ ხელს უწყობდენ ზემოთ ხსენებული პირები: მარიოსი, სტეფანე და ნიკიფორე. ამათ შეადგინეს ქართული ანბანი, მათის თავდარიგითვე ჩამოასხეს ქართული ასობის ყალიბები, ამათის ზედამხედველობით დაარსდა სტამბა, ამათვე შეადგინეს და დაწერეს ყველა ის წიგნები, რაც-კი საჭიროდ დაინახეს დასაბეჭდათ. 1625 წ. უკეე გამოცხადდ, ცნობა, რომ პაპის „უკეთ საქადაგებლო ძმობის“ თავოსნობით და პაპის მფარველობით რომში ქართული სტამბა ფურქნდება. ამ დროს პაულინი, მარიოსი და ნიკიფორე რომში იქმნენ შეწვეულნი, მათ მაღალ მოწყეს სტამბა, მის გამგეობა თვით იკისრეს და 1629 წ. უკეე ქართულ იტალიურ წიგნიც დაბეჭდეს. პირველად რომში დაიბეჭდა ქართული ანბანი—ლოცვებით, ეს ლოცვები საქართველოს კათოლიკეთათვის იყო საჭირო, რადგანაც ლათინის ბერებს ძრიგლ უჭირდებოდათ მრევლისთვის ანბანის და ნამეტურ ლოცვების გადაწერ-გადმოწერა. იმ დღიდამ ვიდრე 1800 წლამდე, რომში ქართული წიგნების ბეჭდეა არ მოხვდილა. ანბანსა და ლოცვებს მოჰყვა „ქართულ იტალიურ სლავარი“ შეს გენიული სტეფანე პაულინისაგან ნიკიფორე ირბახის დახმარებით და დაბეჭდილი 1629 წ. რომსვე. ით თვით წიგნის სათაურიც, რომელიც მოგვყავს შეუცვლელად.

Dictionario giorgiano  
e Italiano. Composto da Stefano Paolini con  
l'aiurio del M. R. P. D. Niceforo Jrbachi.  
Giorgiano, Monaco di S. Bafilio.  
ad vso de' Missionarii  
della Sagra Congregatione de Propaganda fide.

გამოცემა In. Roma,  
Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. fide:  
CICDC XXIX=1629  
Con licenza de' superiori.

ამ სათაურის მეორე გვერდზედ მოხსენება არს და-  
ბეჭდილი თვით წიგნის შესახებ. მეხუთე გვერდზედ წი-  
ნასიტყვაობა იწყება, რომელიც შეღვენილია „პროპაგან-  
დოს“ ძმებისაგან, რომ ეს „ქართულ-იტალიური სლავარი“  
იკურნელთ სისარგებლოთ აბეჭდებათ. წიგნის დასაწყისი ასე  
იწყება: — „Alfabeto Giorgiano“. ამას მისდევს ქართუ-  
ლი ანბანი, ანბანის შემდეგ სიტყვები იწყება, სიტყვებზე  
მიწერილია ქართული ასოებთ ეს სიტყვები, რომელიც  
თავის წერტილებითვე მოგვყავს აქ: — „::ღეჭსი:.. იძერი-  
გო:.. ფურსი:..“ ქართულ ასოებს გვერდით ლათინური  
ანბანი აქვს დაბეჭდილი, იგი ხსნის ქართულ სიტყვებსაც,  
გვერდზედ ლათინური სიტყვებიც აქვს მიბეჭდილი. ამ სი-  
ტყვების შემდეგ ქართული ასოები ლათინურის ასოები-  
თაც არის ნაბეჭდი, რომ მისიონერებს გაადვილებოდათ  
ქართული ენის შესწავლა. წიგნი შეიცავს 128 გვ. თო-  
თო გვერდზედ დაბეჭდილია 18—19 სიტყვა, ყველა ქარ-  
თულ სიტყვას თავის თარგმანიც აქვს. თავის დროის კვა-  
ლიათ ეს წიგნი საქართველოში. „სლავარს“ მოჰყვა ქართულ-იტა-  
ლიურ გრამატიკის შედგენა, რომელ გრამატიკის ბოლოს  
ქალდეური, არაბული და ებრაული ასოებიც არის მო-  
თავსებული. გრამატიკას შედარებითი კილო აქვს მიცე-  
მული. უნდა ესთქეათ, რომ იმ დროის კვალიათ ეს შრო-  
მა ჩვენ ერთობ დიდს სამეცნიერო შრომათ მიგვაჩნია,

დიდს შრომას გარეშე, ამ წიგნის დაბეჭდვა მაშინ დიდს ფულს, დიდს ხარჯსაც მოითხოვდა, რადგანაც იგი ვრცელი ტომია. ეს „ქართულ იტალიური გრამატიკა“ მისიონერს ნიკიფორე ირბას შეუდეგნია და გამოუციათ მხოლოდ 1670 წ. რომს, ვინ გამასცა, თვით ენერგიულმა მისიონერმა ნიკიფორემ, თუ სხვამ? — ეს არ სჩანს, ვინ იცის იქმნება იმი ამ დროსაც ცოცხალი იყო. აი თვით ამ წიგნის სათაურიც, რომელიც წიგნიდამ შეუცვლელად მოგვყავს აქ:

Syntagma fon hingvarim orientalium quae in georgiae regionibus au'diuntur Liber primus Complectans Georgiana, feū Ibericae vulgaris linguae Institutiones grammaticas Authore D. Francisco-Maria Maggio, clero regulari, Panormitano.  
Romae,

Ex Typographia sacrac Congratinis de Propaganda Fide M. D. C. LXX 1670 წ. Superiorum permissu.

ამ შრომიდამ ნათლად სჩანს, რომ ნიკიფორე ირბახი დიდი შრომის და ენერგიის მისიონერი უნდა ყოფილიყოს. წიგნის გვერდთა რიცხვი შეიცავს 400 გვერდს, დაბეჭდილია საწერ მთელ თაბერან ქაღალდზედ. ამ წიგნებს გარდა ხსენბულ პირებს სხვა წიგნებიც უბეჭდავთ, მაგრამ ჩვენ ამ წიგნების არაფერი ვიცით. 1733 წ. ამავე სტამბაში გამოსცა პატრიმა ტულუკაანთ დაეითამ „საქრისტიანთ მოძღვრება“ რომის ქართველ კათოლიკეთაობის, შემდეგ ეს „საქრისტიანო მოძღვრება“ მეორეო 1798 წ. იქმნა გამოცემული და მესამედ 1800 წ. შესამე გამოცე-

მაში მღელელს ახალციხელ ბალინაშვილსაც მიუდიდ მონაწილეობა. 1741 წ. ამავე სტამბაში გამოსცა პატრიმა ტულუკაანთ დავითამ პატარა „საქრისტიანო მოძღვრება“ მოკლედ დარიგებული მარტვილთათვის. დაიბეჭდა წმიდა რომის ქალაქს, სასწავლოს შინა, რომელსაც ქართულათ ჰქვიან „პროპაგანდო ფულე“ მთავრობასა ბერედიქტე XII რომის პაპისა 1741 წელს. გამოცემის ხარჯი პაპის ყოფილა. ქართული ასოების შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ იგინი კარგათ ჰყაოფენ ქართულ ანბანის სახეს თავის, მუქარგულობით. ასოების ზომა დღეგანდელის ასოების მეთექვსმეტე ნომერს უდრის. უნდა შეენიშნოთ, რომ „სლავაზე“ ნახვარია ძველი ქართული მარტოლ წერის ნიშნები, სამსამი წერტილი ჯვარედინათ, რის ხმარებაც XVI საუკ. საქართველოში მხედრულს ხელთ-ნაწერებში წინ წავიდა. ქართულის გრამატიკიდამ კა ეს გმილდევნილია, აქ ნახმარია მარტოლ წერის ყველა საგრამატიკო ნიშნები. ასე რომ ამის მზერით კაცი განცვითრდება, პირველად ლათინის ბერებმა შემოიტანეს ეს ნიშნები ჩვენში, პირველად ამათ იხმარეს ქართულს წიგნებში. XVII საუკუნეში-კი ორა და ამ ნიშნების ხმარება ქართველებმა თეოთ XVIII საუკუნეშიაც არ იცოდენ. ამ გრამატიკაში ნიშნებიც საოცარის სიფრთხილით არის ნახმარი, არსაც კაცი მათ უადგილობას ვერ შენიშნავს, ყველგან რიგზე არიან დანიშნულნი.

უნდა ვსთქვათ, რომ ქართველ ერის ისტორიაში, პირველ ქართულ სტამბის გახსნა 1709 წ. კი არ უნდა მიეთაწიოთ, არამედ 1625 წ. რამში, როცა პაპი ურბანუს მერვე საქართველოს მფარველი გახდა, როცა საქართველოში მათი მქადაგებლები გაჩდნენ. ჩვენ, 1626 წ.

უნდა ვიანგარიშოთ ქართული სტამბის გახსნისთვის. ოაგია, რომ ახეთ დიდ საგანს, ძეირფას მხარეს ჩევნის ისტორიისას, სრული ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, ოდესამ რომში პირველ ქართულ სტამბის დაარსების სახსოვრად ვიდლესასწაულოთ კიდევ, მთელს ევროპას გამცნიოთ, რომ პირველი ქართული სტამბა როდის და სად გაიხსნა, ამასთანავე აინუსხოს ისტორია იმ განწყობილების, პატივისცემის და სიბრალულის, რაც კი ჩევნის მეფეებს და პაპებს შორის ყოფილი დამკვიდრებული. ამ ისტორიისათვის რომში ძრიელ ბევრი მასალები აღმოჩნდება, ამ მასალებიდამ კარგათ გამოსხინდება, თუ რომის ტახტმა რა განძრახეთ გახსნა რომში ქართული სტამბა.

რომის სტამბის და წიგნების ბეჭდების ცნობებმა საქართველოშიაც მალე მოაღწიეს, ჯერ ქართველთ დაბეჭდილი წიგნები არც კი ენახათ თვალით, რომ სიცუკით ესმოდათ: რომში, პატრებს. ქართული წიგნები დაუბეჭდილიათ. ეს თქმულება მალე გამართლდა, ლათინის პატრებმა ქართული დაბეჭდილი წიგნები მალე შემოტანეს საქართველოში, ეს ნაბეჭდი წიგნები ოთხსავ-კუთხივ მოჰყონეს, ყველა ქართველი განკვირვებულ იყო ასეთის საოცარის საქმისაგან, მრავალთ იწყეს თვალის გახილება და ორგვლივ ფხიზლათ მზერა. იმ დროის ქართველთ ხშირად უსაუბრიათ სტამბის და წიგნის ბეჭდების საჭიროებაზე, მაგრამ მოხერხებით კი ვერ მოუხერხებიათ, შინაურს და გარეულს მტრობას და გარემოებას ხელი შეუშლია მათთვის, ხოლო რაც შეეხება სტამბის გახსნის საჭიროებას და ცნობებს, ეს საქართველოში უპირველესად რომიდამ შთამოლვრილა, ასე რომ ჩევნი სტამბების ისტორიის სიღიადე რომიდამ იწყება და ამ მნიშვნელოვან დიად საქმის წარმომადგენლებათ მარიოს მაჯი, ნიკოლოზ

ირბახი და სტეფანე პაულინი იგულისხმებიან, ესენი არიან ჩვენი წარმომადგენელნი, ამ მოძღვართ მოქმედება და სახელები ანათებენ ჩვენის ბეჭდებს ისტორიაში. ოდესმე თუ ქართულს ან ეკროპიულს ენეზე დაიწერა ქართული ბეჭდების ისტორია, იქ ეს პირები მაშინ უპირველეს ადგილს დაიკავებენ.

ამ შეადაგებელ მოძღვრებთა შესახებაც ვიტყვით მცირედ რამეს: ზემოხსენებულ მოძღვარ მისიონერებში გარდა ნიკიფორე ირბახის ცეკვანი ტომით იტალიელნი იყვნენ, იგინი ეკუავნოდნენ პაპის „უწმოთა სამქადაგებელო შმაბას“, რომელსაც მათებურათ „პროცეგანდო ფიდე“ ეწოდება. ესენი ადრიდგანვე იყვნენ აზიის ქვეყნებში ნავალი, შემდგომ მოგზაურობის იგრი დაემკვიდრნენ საქართველოში. აქ მათ კარგა ხანს იცხოვრეს, გაიცნეს საქართველოს კუთხეები, ხალხი, ენა, ისტორია სხვა-და-სხვა პირობები და ბოლოს ამ ხალხის თვის ცდა და ლწევას მიეცნენ, უკანასკნელ მათის მოხებით რომში ქართული სტამბაც გაიხსნა. ამ სახელმისამართის მისიონერების ცხოვრების წელი 1650 წლებამდე სჩანს, შემდეგ კი ისპობა მათი სახელის მოხსენება. საქართველოში მათი მოსელი შეეხება 1615 — 1617 წლებზე არა უგვიანეს. სტამბის გახსნის შემდეგ ესენი მიხმობილი იქმნენ რომში. რომში მისულთ ქართველთ ერს მარტივთ სტამბის გახსნა და წიგნების ბეჭდევა არ აქმარეს. ამათ მოხსენება მიართვეს პაპს და ითხოვეს „პროპაგანდოში“ ქართული ენის კათედრის დაარსება და საყოველთაფოდ იქ ქართული ენის მცირდე პროფესორის ყოლა. პაპი თანხმა გახდა ამის და მალე იქმნა უმაღლეს სასულაერო სასწავლებელში ქართული ენის კათედრის დაარსება, მასზე პროფესორათ დადგენილ იქმნენ თვით ეს მოძღვარნიც, რის მეოხებით რომიდამ ესენი

საქართველოში ედლარ დაბრუნდნენ. იქ დარჩნენ, იქ მო-  
ლვაწეობდნენ ჩვენის გვარის სასარგებლოთ, ჩვენის წარ-  
სულის მამა-პაპათ ძეთ გონების განსანათლავათ. ქართულ  
ენის პროფესორებთ რიცხვი რომში თეთ მეტყრამეტე  
საუკუნის დამდეგამდისაც კი არ მოსპობია. უკანასკნელ  
დროს, ე. ი. 1800 წ. რომში, პაპის „უჩხა ქვეყნისათ  
სამქადაგებელო“ ენის კათედრის უფროსად ახალიცხელი  
მღვდელი გრიგოლ ბალინაშვილი იყო, რომელიც აგრე-  
თვე სომხერ ენის პროფესორათ იგულისხმებოდა.

საშუალ საუკუნოებიდამ, ეკროპაში, კათოლიკის  
სარწმუნოებისათვის იწყება ათასნაირი სარწმუნოებრივი  
გრძოლა და კამაო. სასტიკს კამათს რეფორმაციებიც  
მოჰყავა. იმ დროს, კათოლიკის ეკკლესია დიდს განსა-  
ცდელში იყო, მას დიდი გასაჭირი ადგა, მაგრამ რომ ამ  
გაჭირების დროსაც კი არ დაუკიდწინია საქართველო და  
ქართველი ხალხი, აღმოსავლეთის ზალხებთ შორის საკმა-  
რისი ზედამხედველობა ჰქონიათ ქართველობაზე მიპყრო-  
ბილი, ქართველთ სასარგებლოთ იგინი ფულსაც საკმა-  
რისად ხარჯავდნენ. ეს დიდათ საყურადღებოა და მასთან-  
ვე პატივ საცემი. ეს ისტორიული მშვენება ჩვენის ისტო-  
რიისა მომავალში იქმნის დიდებით და სხივოსნობით  
შეიმოსა, რომ ქართული წიგნების საბეჭდი სტამბები რო-  
მის სტამბის მიბაძვით ექნეციას, ფრანცუას და კონსტან-  
ტინეპოლისაც იქმნენ დაარსებული, სადაც ქართველთ  
კათოლიკის ბერებისაგან აღიბეჭდნენ მჩავალი სასარ-  
გებლო ქართული წიგნები. უნდა ითქვას მოკლეთ, რომ  
თვით XVIII საუკ. ვახტანგ მეფისაგან გახსნილს სტამბის  
წინამორბედათაც ზემო ხსენებულ რომის სტამბა უნდა  
ჩაითვალოს.

ქართველ სამღვდელოებას პატრების მოქმედება

თვალ წიჩ სარკესაცებ დაუდგათ. და XVII საუკუნის ბოლოს, რაღაც ბეღზედ, ვალახიაში. ყოფილა ერთი ქართველი ეპისკოპოსი, რომელსაც კარგათ შეუსწავლია სლავინთ წიგნების ბეჭდების საქმე, ამას მსწრაფ მიუქცევია უკრადლება ქართულს ენაზე წიგნების ბეჭდების შემოღებისთვის. მას დიდი ნატვრა მისცემია საქართველოში ქართული სტამბის დაარსებისთვის, ამიტომ ამ მდვდელ მთავარს საქართველოში მიწერ-მოწერა გაუმართავს და რჩევა, რომ დროა, თფილისში, ქართული საპეტიო სტამბა დავარსოთ. ამის თანხმან მაღვე გამხდარან ქართველთა ღიღებულნი და წერილიც მიუწერიათ, რომ ძრიელ კარგი იქნება, თუკი ქართველები ამას მოვახერხებთო. ამ განძრახვის მეთაურიათ ვახ. მეფეს სთვლიან, მაგრამ ეს არ არის სწორი, ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ზემო სხენებულ გვისკოპოზებს და ვახტანგ მეფეზე ბევრათ აღრე სტამბის გახსნის შესახებ საუბარი არჩილ მეორესაც ჰქონია, რომელიც მოსკოვში კარგა ხანს სცხოვრებდა, გარემოებამ ამას არ მისცა შემთხვევა სტამბის გახსნის, მისი საქმეები მრავალნაირათ დაიხვანჯა, მხოლოდ შემდეგ დროს, — ამის ნატვრა ვახტანგ მეფე შეასრულა ზემოხსენებულ ეპისკოპოზის ღწვით და ქადაგებით.

ბევრის მიწერ-მოწერის შემდეგ, ზემოხსენებულ გვისკოპოზეს ვალახიაში ჩამოუსხმეუინებია ქართლი ასოები, ამ ასოების ნიმუშები საქართველოში გამოუგზავნია, შემოუთვლია: „ნახეთ ეს ასოები და თუ მოგეწონებათ, მაშინ დასითახსმდით და თქვენც მიიღეთ, თუ არ მოგეწონებათ, მაშინ უარი სთქვითო“. ასოების მიღებისათანავე ქართველთ დიდათ მოეწონათ, ამათ ეპისკოპოზეს თანხმობის წერილი მისწერეს, დაავალეს შრომის მიღება, ყველა იარაღის მოპოვება, მცოდნე ოსტატების და ყველა მათ სა..

ქართველოში გამოგზავნა და სტამბის დაარსება. ქართველ ეპისკოპოზისაც დიდათ ცისამოვნა ესეთი ნატერა, მეფის ვახტანგის ბრძანება უმაღლ შეასრულა, მალე იშოგნა ოსტატი კაცები, მოიპოვა ყველა სასტამბო იარაღი, ჩამოასხმევინა ქართული ასოების ყალიბები, ყალიბებს მოჰყვა თვით ასოების ჩამოსხმაც და უკანასკნელ მეფის ვახტანგის და ლეონ ირანთა მსაჯულის ხარჯით საქართველოშიაც გამოგზავნილი. ოსტატებთ შორის ოთხი კაცი ყოფილა ხელოსანი, ერთი შეეჭდავი და სამიც ამომწყუბი, ერთი ამათგანი მიხაილი უფროსი ყოფილა. ჩვენის ჰაზრით ეს რიცხვი უნდა შეეხებოდეს 1707 წ. არა უგვიანეს, რადგანაც 1709 წ. თფილისში უკვე გამოიცენ ქართული წიგნები. ვიდრე სტამბა დაარსდებოდა, მინამდის თფილისში დაფუძნებულ იქმნა ქართველთ მწიგნობართ გუნდი, რომელ ბრძენთაც მუშაკობა იწყეს ქართულ სამღრთო წერილის განხილვის, ბერძულს დედნებთან შედარების და საბეჭდათ მომზადების. ვახტატი და ვახტანგი-კი ისტორიულ, გეოგრაფიულ და სხვა-და-სხვა მასალების შეკრებას მიეცენ. ამათ თავიანთი შრომა შემდეგ ღრაებში რუსეთში დაამთავრეს. ერთი ამ მშრომელთაგანი ნიკოლოზ მლიდელ-მონაზონი, ორბე-ლიინი ყოფილა. 1709 წ. გამოცემულს „საქმე მოცი-ქულთა“-ს ბოლოს ის რა გვარი შენიშვნა არის მიწერი-ლი: „ოდეს განაგებდა საქართველოსა ძმისწული კეთილ ძორწმუნებ მეფის არჩილის და სასელოდგანის მეფის გიორგი-სა და ბატონის დევანისა ღვთის მოუკარე, განათლებული გახტანგი, გულ მოიდგინა და მოიღო სტამბა კადახეთით, რომელ არ ღვთ კოფილიყო საქართველოში, სედით წერაში ჩვენი სამღრთონი წერილი განრევენილიყო, და მე, დედის ძმისწულსა ამა მონაზონს ნიკოლოზ (ორბელიანს) მიბრ-

მანა წიგნების გასწორება და განსილება. დიდის ჭირითა, ბერძენთ სამორიგენოთ შემწეობითა, სიცემა და ასო მეტი ნაკლები გავმართე და ესე საძიებელი არც ერთ ენაში არ იყო, სიადილისა და ადრე პოზნისათვის ახლა მე გავაკეთე და ოუგულის ხმა უიფე, დიალ ადგილა და ამის სწავლება საძიებლის-თვის,— იქ იძევ, კინც ჩემი ნაშრომი წიგნები ნახოთ, ღვთის სიყვარულისათვის, შენდობას მიძრბანებდეთ, მე დიდათ შემწეწევის და თქვენ უზრუნველ იქნებით“. მავე წელს დაიბეჭდენ „დაუჯლომელი“ 1000 ც. პატარა ლოცვანი 1000 ც. 1710 წ. გამოიცა „უამნი“ 450 გვ. ბოლოს მოხსენებულია: — „უამნი, აწ ახლად დაბეჭდილი ქართულს ენსა ზედა, უამნსა ამაღლებულისა და სახელობრივისა მეფისა, უფლისა ქაისოსრისა, წარსეგებულითა და საფასითა ბატონიშვილის უფლისა კახტანგისა, გაიმართა სელითა ნიკოლოზზ მღვდელ-მონაზონის აღბეჭდიშვილისათა და მიხილ სტეფანეს ძის თვარო კლასებისა სელითა“. სხვა წიგნებზედაც ესვევ ნიკოლოზ მღვდელ-მონაზონი აწერს, რომ მე გამზართო. ზოგი წიგნები სხვებს გაუმართავთ, მეთაურობა-კი ამას სკერია. შემდეგ ეს მღვდელ-მონაზონი თბილებათ იქმნა აცყვანილი. 1709—1713 წლებში თფილისში დაიბეჭდვენ შემდეგი სასულიერო შინაარსის წიგნები: ზოგი ორჯერ სამჯერაც გამოიცენ: კონდაკი 500 ც., ზატიკი 500 ც., უამნი, მეორეთ 500 ც. სამოციქულო მეორეო, დავითნი, სახარება მეორეთ, ვრცელი ლოცვანი, მცირე ლოცვანი მხედრულით, ტიბიკონი, კურთხევანი, პარაკლიტონი, სადლესასწაულო, მარხენი, ძილის პირნი და ზოგიც სხვა წვრილი საეკკლესიო წიგნები, ზოგი მხედრულის ასოებით და ზოგი ხუცურათ. ზოგიერთს გამოცემებს პირველს ფურცელ-ზედა, ზოგს ბოლოს, საქართველოს სამეფო გერბი აზის,

ზოგზე დანაცილებული შეფეხ ლეონ-ირანთა მსაჯული, მამა  
ვახტაგ მეფისა, სპონსორი სპარსეთში სცხოვრებდა, იქ  
მთელის ირანის მსაჯულათ ირიცხებოდა, დიდი შესანიშ-  
ნავი კვევიანი კაცი იყო. იგი შეერთებულ იქმნა შეას სა-  
რწმუნოებასთან, მაგრამ საიდუმლოთ-კი კათოლიკობას  
აღიარებდა, ზიარებას სპარსეთში მყოფ ლათინის ბერები-  
საგან იღებდა. ამან განუჩიარა მოგზაურს მისიონერს იე-  
ზუიტს პოლონელს კრისინსკის, რომ მე კათოლიკის სა-  
რწმუნოებას ეაღიარებ ჩუმათაო. ასეთი დიდებული მეფე-  
ნი ქართველი ხშირად არ გვყოლია. ეს მეფე საქართვე-  
ლოს სამეფოს საქმეების გამო სპარსეთში სცხოვრებდა,  
შაპის დავალებით მუსლიმანობას აღიარებდა, მაგრამ გუ-  
ლით-კი ნამდვილი ქრისტიანი, ქართველი იყო. ეს მეფე  
სპარსეთიდამ დიდათ ეხმარებოდა საქართველოს, როსტომ  
მეფისავებ, სპარსეთიდამ ეს საქართველოს დიდი მფარვე-  
ლობას უწევდა, თეოთ სატამბას გახსნასაც ეს დიდის სია-  
მოვრებით მიჰყებებია, სპარსეთიდამ დიდი დახმარება მი-  
უყია ამ საქმისთვის, ყველაზე მეტად მას სიამოვნებია, რად-  
განაც სპარსეთში მყოფ ლათინის პატრებისაგან მას კარგად  
სცოლნია მნიშვნელობა სტამბის გახსნის და წიგნების ბე-  
ჭდვის, მისის დახმარების, პატრიონიაბის და საქართველოს  
მფარველობის სამახსოვროდ, ვახტანგ მეფესაც ლეონ  
ირანთა მსაჯულის სახე წიგნებში მოუქცევია, ლეონ  
ირანთა მსაჯული სკამზედ ზის, ხელში ქრისტიანულის  
ჯერით გაკეთებული ყავარჯენი უჭირავს, გვერდზედ და-  
ხატულია ბაგრატიონების გვირგვინი, ირგვლივ ხუცური  
წარწერა აქვს.

იმ დროის ქართველთა, სამორთო წერილს გარდა  
საერთ მწერლობასაც მიაქციეს ყურადღება, სამართლიერ  
მოვალეობის აღსრულებას მოჰკიდეს ხელი და „ვეფუ-  
2

ხის ტყაოსნის” ბეჭდვაც განიძრახეს. შეუდგენ „ვეფხის ტყაოსნის“ გამოცემის სამჩადისს და 1711 წ. უკვე დაიწყეს ბეჭდვა ისე, რომ 1712 წ. „ვეფხის ტყაოსნი“ ცალკე წიგნთ გამოიცა. ამ ძვირფას საუნჯის გამოცემას ზოგი სასულეორო პირი წინ აღუდგნა. „ვეფხის ტყაოსნის“ ჰაზრებს სამედაოთ სთარგმნიდან. ამიტომ ამ წიგნის შენარჩის გა აცნობად ვახტანგ შეფერ ახსნა დასწერა, რუსთველის ჰაზრებს შეძაბა მოაშორა. ამის ახსნა „ვეფხის ტყაოსნის“ ბოლოს დამეტდილია ორი ტაქტი, რომელიც მიუბეჭდით იმ ცრის მწიგნობართ ქართველთ.

„ვეფხის ტყაოსნის“ პირველს გვერდზედ მოყვანილია შემდეგი: „ვეფხის ტყაოსნი“ აშ ასლად დაბეჭდილი ქართველისა ქართველის ზედა, ქართველის ამაღლებულისა საქართველოს მშერობელისას, უფლისი ვახტანგისა, შერმითა და წარსატებელითა, გარმართა ხელითა სელმწოდის ქარის დეკანზების შვილის შექლისათა, ქალაქ თფილის, ქრისტე, აქთ 1712 წ. დასაბამითგან კიდრე აჭამობდე 7220“. მეორე გვერდზედ მოთავსებულია ლექსი პატივად ბაგრატიონთ შთამომავლობის შესახებ. მესამე გვერდზედ მოთავსებულია შემდეგი: — „მადლებელი წმიდისა სამებისა მე გა რტომთათ, ძირ მოდგმაბით დაკითახმან, ძის ძემან სასელ განთქმელის მეფის ვახტანგისამან, მმისწულმან ქებულის არჩილისამან და დიდათ პატიოსნის დაკანისამან, მშერობელმან საქართველოსამან, ვახტანგ — მოგიყვანე შესტამბე გლახეთით და გაგაეთე სტამს სახსრად სელთა წინა თქმეთა მეფეთას, მმიდისა და დედისა ჩემისა გურიელის ასულისა თუთასათვის, სალხინებელად სულისა წემისა და ჩერქეზის ბატონის ასულისა დედოფლის, რუსედნისა და ძე-

თა და ასეულია ჩეენთა „აღიაზრდებულათ“. მეოთხე გვერდზედ დახატულ და ექტილია სურათი ვახტანგ მეფისა. „ეეფხის ტყაოსნის“ უკანასკნელ ტაქტის შემდეგ მოთავსებულია შემდეგი ორი ტაქტი, რომელიც მოგვყავს აქვე, რადგანაც ამ ტაქტს მჭიდრო კავშირი აქვა ჩვენის სტამბის დარსების ისტორიასთან:

„აუ დაიბეჭდა სტამბაში, ზორებელ ნაწერი სეჭისა,  
უგბილთა ფრიად სასწავლო, გონიერთ გულთა თმენისა,  
მეფის ვახტანგის ბრძანებით და საბრძნით ეეთიდ მქმნებისა,  
და ნადგაწი მისის მღლოცებულის, მესტამბე მიქაელისა“.  
და ესრულა ესე წიგნი, ქორანიგრის უნსა სმულსა;  
ეკელავასა უხართდა, რიტორსა და ხმა უსეჭისა,  
სამღრითოა და საერთაცა, კისიცა აქეს სმენა გულსა,  
და უსწავლების სიბრძნეს მისცემს, გონიერისა გულს უსრულსა.“.

ჩეენ კარგათ ვიცით, რომ ეალახიიდამ საქართველოში მოსული მესტამბე მიქაელი, უნგრეთელი ყოფალა, ხოლო ვალახიში მყოფი და აქელამ თავის ხელოსნებით საქართველოში მოსულა. ამ მესტამბის და მის ამხანაგებთ ცხოვრების ცნობები ჩეენთვის დაფარულ არს, ისეი ვიცით, ესენი საყოველთაოდ საქართველოში დაშტენილან, ამათ აქ, საქართველოში, ქართველთ ძეთათვის შეუსწავლებით ქართული ასოების ხაზვა, ყალიბების ამოკრა, ასოების ჩამოსხმა, ამოწყობა, ბიჭდება, შავი საბეჭდი წამლის კეთება, თვით ჩკინა-ხის დაზგების მომზადებაც. ერთის სიტყვით სრული ხელობის ცოლნა სასტამბო საქმეების. სანაქებოთ ითვლება მათი ოსტატობა წითელ და შავ წმლით ქართული წიგნების ბეჭდვის ხელოსნობაში. რაც შეეხება ზემოთ მოხსენებულ კარის დეკანოზის შეი-

ლის მიქაელის ხსენებას-კი, ეს ჩვენ სულ ცხვა პირით მა-  
გვაჩნია, სხვა მოღვაწეთ, კარის დეკანოზ-თ ჩვენ უნდა  
სახეში ვიქონიოთ ქართველია ბეფურა კარის ეკკლესიის  
მოძღვარი, მაშასადამც ეს მიქეები ქართველი კაცი, ქა-  
რთველი მესტამბე უნდა იქმნეს, ექმნება მაა რაეის ცოდნა  
უნგრეთ-ვალახიელ მესტამბე მიქელ სტეფანეს ძისაგან  
შეისწავლა.

უნდა ესთქვათ, რომ უწევრეთ-ვალახიელ მიქელ  
სტეფანეს ძემ მოპონია ჩვენში სტამბის ხელოსნობის ოს-  
ტატობა, ამ ხელობის ოსტატ ქართველი ამან მოამზა-  
და. მისი ასეთი შრომა ქართველ მეფებთაგანაც დიდათ  
პატივუცმულ და ღვაწლ დებულ იქმნა, მიქაელი აზნაუ-  
რის შეილობით იქმნა დაჯილდოებული 1710 წლებსვე  
ვახტანგ მეფე-საგან, იგი უნგრეთ ვალახაში აღირ დაბ-  
რუნდა, საქართველოში დასახულა და იქ გარდაიცვა-  
ლა. XVIII საუკუნის ნახ ვაკ ს, ამისაგან დაზრდილ მე-  
სტატმბებში საქართველოში უკვე თავი იჩინება. ესენი არი-  
ან ასოთ-ამომეწყაბი: რომანოზ აზმაძე, ჩუბინიძე დავა-  
თი მღვდელი, მარტივოფელი მღვდელი კვერაშეილი,  
გიორგი პაიჭაძე, რომანოზ ზუბაშეილი, ანუ ზოგთაგან  
ზუბალაშეილათ წოდებული და რამდენიმეც სხვა ასოთ-  
ამწყაბნი და მაკედავნი, პირველ ხარისხის ოსტატი, თო-  
რემ მეორე ხარისხის ხელოსანთ სახელებს ჩვენ ჯ არ ვა-  
სახელებთ. უნდა ესთქვათ, რომ ჩვენი სტამბების მოღვა-  
წეთ ისტორიის ცნობები ერთობ დარიბდა.

ჩვენდა საუბედუროთ, ქართველთ კეთილ დასაწყისს,  
არ მიეცა დიდი ხის დრო, 1712 წ. ვახტანგ მეფე სპარ-  
სეთში მიიხმეს, ამის მაპაც იქ იყო, მავრამ საქმე ისე მო-  
ეწყო, რომ ესეც უნდა უსათუოთ წასულიყო, 1713 წ.  
უკავ წავიდა. ვახტანგ მეფის განსვლამ საქმარესად შეა-

ფერხა სტამბის საქმე, ამ სტამბაში, საეროთ „ვეფხის-ტყაოსანს“ გარდა აღარაფერი დაბეჭდილა, თუ იბეჭდებოდა რამ სასულიერო წიგნები. 1717 წ. კვალად დაიბეჭდა „უამბი“ 1720 წ. „კურთხევა ცკკლესისა და ოდიკისა“ და ორი სამიც სხვა სასულიერო შინაარსის წიგნები. ვახტანგ მცირის სპარსეთიდამ დაბრუნების შემდეგ ამ სტამბაში 1722 გამოიკა „აათა“ ანუ ცის ქმულება, ე. ი „კუსმოვრაფია“ სპარსულიდამ ნათარგმნი თვით ვახტანგ მეფისაგან, ამ წიგნთან ერთათ სხვა წიგნებიც იბეჭდებოდენ, მაგრამ მათ ალსრულება ვერ შეიცენ, ორი წლის განმავლობაში ვახ. მეფეს რამდენ გზისმე მიეცა შემთხვევა სპარს-ოსმალებთან ომებისა, ერთ წელს განჯაზე სამჯერ იყო. სტამბის საქმის მართვის დრო აღარ ჰქონდათ. 1723 წ. ლეკოა და ოსმალთ თფილისი დაიპყრეს. ქართველთა სტამბის იარალი მიწაში ღაფლეს, დამალეს, სტამბა მოიშალა სრულიად. 1724 წ. ვახტანგ მეფე თავის სახლობით, დიდის ძალის თავად-აზნაურიაბით, სამღვდელოებით, ძეირფასის ნივთებით, ოქრო-ვერცხლით და ძველის ქართულის წიგნებით რუსეთში გადასახლდენ. ქართლი უპატრონოთ დასტოედს. ამ გარემოებამ დიდი მეხა დარტყა ქართლს. ქართლის უპატრონო ხალხი მაინც სულით არ დაეცნენ, მიეცენ ლწეს და უკანასკნელ თფილისიდამ ოსმალნი განაძევეს, ლუკი მოხვეს, თფილისი გაანთავისუფლეს.

ოსმალთა განდევნის შემდეგ ქართლის ტახტზედ თემურაზ მერაკ აეიდა, ამის მეტობის დროს სტამბატაში მოიხდა. საჩქაროთ მოძებნეს სასტამბო იარალები, ყველაფერი მოაწყევეს და მალე განცხადდა სტამბი, დაარსების ცნობა. განახლებულ სტამბის გამდებრით რიგხევე პირები იქმნენ დაიმუშავებულნი, ვინც ვახტანგ მეფის დროს განაგებდენ. ამ

დროს ქართველთაგან სტამბის შეგირდებიც განამზადეს. მეფის თეიმურაზის ბრძანებით განახლდა ქართული სასულეურო წაგნების ბეჭდვა, მის მეფობაში რამდენიმე წიგნი გამოიკა. ოცნებურაპ შეფის შემდეგ გამეფედა მე მისი ირაკლი 11-რე, ამის მეფობის დროსაც შესაუერათ წავდა სტამბის საქმე, ხელმეორედ დაიბეჭდვენ საეკკლესიო წიგნები. საერთო გამოიკა ლოცვები ქართულას ანბანებით. ამ დროებში დაიხოცნენ ყველა ის ოსტატნი, რომელნიც ვახტანგ მეფის, სტამბის დროიდამ ჯანაგებდენ, ამარცმ მათ მაგიერ სხვა ხელოსნები გამოვიდენ, სტამბის უფროს ზედამხედველათ დანიშნულ იქმნა მესტამბე, მარტყოფელი მღვდელი დავით კეცერაშვილი.

ამ დროს, სტამბა, მეტებაც ეკკლესის ვალავანში იყო მოთავსებული, საღაც XVII საუკ. როსტომ მეფე სახლობდა, დღეს იმ აღაგას საპატიმროა გამართული. 1750 წლებში, სტამბის და წიგნების ბეჭდვის ჩაქმე ისე წავიდა, რომ წიგნების საბეჭდათ ცენზურაც იქმნა დანიშნული. ამ წლების შემდეგიდამ ლოცვის წიგნებში ქართველთ მეფეთა სახელების მოხსენების ბეჭდვაც შემოიღეს; მაგალითებრ: მეფის ირაკლის დროს, დაბეჭდალს „დაუჯდომელში“ მოხსენებულია მეფე, დელოფალი და მეფის ძენიც. 1784 წ. თფოლისში გამოიკა „კურთხევანი“ პირველ ფურცელზე აი რა წარწერა აქვს მიბეჭდილი: — „სადადებელად... დორსა: უოგლად უბრწყინვადესისა, უკეთიდმისახურესისა და უძალდესისა ირკვლი მეორისა, მეფისა უოგლისა საქართველოისა და კეთილ მთარწმუნისა დედოფლისა დარცევან, ჯადანის ასედისა და კეთილ მთარწმუნეთა მეფის ძეთა და ასულთასა, კურთხევითა უნეტარესისა და უწმიდესისა მეფის ძის ანტრია, პატრიარქისა უოგლისა საქართველოისა, ჩლენის უწმიდესის სინოდისათა, დაიბეჭდა წიგნი

ესე, საშლოთო გურთხევანი, სამეფოსა ქალაქშა თფილის, პა-  
ლატისა სამეფოსა, წელსა დასაბაძმითგან სითფლისა კსები, სო-  
ლო განხორციელებიდგან სიტყვისა მღვთის ჩლანდ. თვესა  
თებერვალსა რიცხვსა ა“. მეორე გვერდზედ დაბეჭდილია  
ბაგრატიონების გერბი. ამ ცნობაში საყურადღებოა ის,  
რომ ანტონ კათალიკოზი რუსეთის უწმინდესის სინოდის  
წევრათ არის შოხსენებული. ამ გარემოებას დიდი ყურა-  
დღება უნდა მიეკუს თდესმე და ცნობები გაირკვეს კარ-  
გათ. ამის მნიშვნელობის ჩვენ არა ეიცით რა.

როგორც გამოვარკვეუთ, წიგნები ყოველთვის სამე-  
ფოს საფასით უძებელავსთ. მხოლოდ 1793 წ. მღვდელ  
ქრისტეფორე კეშერაშვილს, თავის ხარჯით რამდენიმე  
წიგნი დაუბეჭდია. მაგალითებრ აი რას სწერენ: — „ღრა-  
მატიკის კანონის ზედა განმარტებითა პრობის (!) მართვითა  
მისის უწმილესობის მონისა, ასხიმანდრიტს ტრიფიალესითა,  
ხელითა მესტამბე რომნერზ ზებაშვილისათა, მებრძნეა უკე-  
თილმისასურესისა და უმაღლესისა ხელმწიფოსა ყოველისა სა-  
ქართველოისა, ირაკლი მეორისა, მე, მისია მონისა, მისის  
უმაღლესობის კარის მღვდელი, მარტივოფელსა ქრისტეფორე  
პეტერშვილსა განვება და ზედამხედველობა სტამბისა, რომ-  
ლისა სურგილი ფრიად მაქვნდა და დაგბეჭდე შრომითა და სა-  
ფისითა ჩემითა: მსედრული „დაუკადომება“ 700 ც. „გიტა-  
ის სიბრძნე“ გაიოს ნაცვლიშვილის თარგმანი 700 ცალი  
დღოცვანი 1000 ც. სასარება 1000 ც. კვალად სასარება  
1000 ც. და მარხვანი 1000 ც. შეწევითა ყოველად წმიდი-  
სა სულისათა ესე ყოველი ზემოსსესებული წიგნი დამაბე-  
ჭდას სარჭითა ჩემითა, აღსამაღლებლად და განსაძლიერებ-  
ლად უფლისა ჩემის, მეფის ირაფისა, და საოხად როდები-  
ლისა სულისა ჩემისა, რომელიცა გმოშენებს მსილესებაგან  
შენდობისა“. აქ უნდა ვსთკვათ, რომ დავით მღვდელი

კეშერაშვილი და ქრისტეფორე მღვდელი კეშერაშვილი ჩვენ მაშა და შეიღოდ ბიცვაჩია. შვილს მამისაგან უნდა ესწაველა სტამბის მართვა და ხელობა.

საუბედუროთ ცერტ ამ სტამბას წაუვიდა საქმე ბეჭინიერათ, 1795 წ. პრისტანე ხელიმა მასაც მოუსო თავისი ცელი. სტამბის სტანკების და საკირო იარალის ზოგი აფლაბარში, შიწაში დაფლეს, ზოგი გორისაკენ წაიღეს და იქით შეინახეს. მტრის განსვლის შემდეგ, დაუთ კეშერაშვილს მეფისაკენ ებრძანა სტამბის მოხერხება, განწყობა ხელ ახლავ, იგი შეუდგა იარალის მოკრებას, მალე მოკრიბა და 1796 წ. ამ სტამბაში ამდენიმე ვრცელი სასულიერო შინაარსის წიგნებიც გამოიცენ. 1798 წ. მეფე ერეკლე გარდაიცვალა, გამეფდა ძე მისი ვიორგი XII-ე. სტამბის მფარველობა შეფის გამგეობის ქვეშ გადეიდა, მეფე მასვე დ. კეშერაშვილს მიანდო ზედამხცდველობა. ასის მეფობაშიაც რამდენიმე გამოცემა იქნა, ლოცვის წიგნები ისეჭვებოდა, სამეცნ დავთრები, საჭირო განტხადებები ფურცლებათ, გაზეთის მსგავსი და, ესეთი ფურცლები ბეჭდეა ერეკლეს დროსაც ყოფილა, მავრებ მათ ჩვენ დრომდის ვერ მოაღწიეს. 1798 წ. ამ სტამბაში დაბეჭდილა რაღაც გაზეთის მსგავსი ფურცლები, რომელ ფურცლებზედაც მოთავსებული ყოფილა მეფე ერეკლეს გლოვა და გორჩის ქება ლექსალ, ამაგას გარდა სხვა-და-სხვა ცნობებიც ყოფილა მოთავსებული. ძველ კაცებთაგან ამბათ არის დაშთენილი, რომ ასეთი ნაბეჭდი ფურცლების დრო და დრო გამოდიოდინო. ამ ფურცლებს ბატონიშვილებს და ლილკაცობაში არიგებდენო, მცირე რიცხვი-კი უბეჭდათ. სხვა-და-სხვა საჭირო განტხადებათა ბეჭდვა რომ მაშინაც ყოფილა, ამას ამტკიცებს შემდეგი მაგალითი: XVIII საუკუნის დაზლევს,

რუსეთიდამ საქართველოში ჩამოვიდა დამსახურებული გაბრიელ მაიორი. გაბრიელ მაიორს განათლება რუსეთში მიეღო, იქვე ემსახურნა, სამსახურის გათავების. შემდეგ თფილი ში გადმოსახლებულა, სამშობლოში. საქართველოს ჯედა ქალაქ თფილისა და თელიას პირველად ამამ ვამართა ქართული წარმოდგენები. ამ წარმოდგენებისთვის მას ბილეთები სტამბაში დაუბეჭდია. ერთმა ბილეთმა ჩეკი დრომდესაც მოაღწია, ზედ ასე აწერია: „შეური ორი, გაბრიელ მაიორი“ ე. ი. ბილეთი ორი შაური. ეს გაბრიელ მაიორი ქართველი იყო, დიდი ერთგული მეფისა, 1795 წ. უბეჭურს ომში მან ვაჟა-ცურათ იბრძოლა, მიტომ იგი ცხარე ბრძოლის დროს დაკუწულ იქნა ნაკერ-ნაკერ სპარსთავან. რაც შეეხება ამის წარმოდგენების შესახებ ცნობებს ამას ჩეკი სხვაგან დაწერო. 1799 წ. ხსენებულ სტამბაში გევდვა დააწყებინა დავით ბატონიშვილმა, თავისაგან შედგენილის „ნარკევეს“, რომელიც 1800 წ. ცალკე წიგნეთ გამოვიდა, ეს „ნარკევე“ არის შემოკლებული ისტორია სხვა-და-სხვა ტომთა. შიგვე დაკავშირებულია საქართველოს ისტორიაც. 1800 წ. რამდენ ნაირიმე განცხადებები, სამეცნ დავთრები, ლექსები და სიტყვები დაიძექტენ. მეუე გიორგის სიკედილის შემდეგ, საქართველო რუსეთს ჩაბარდა, ტრაშბის საქმეც ცურათ წავიდა, ამიტომ 1801 წლის ნახვარს სტამბა გაუქმდა. მის უურისგდება არავის უნდოდა, ყველა თავისკენ იწეოდა, ბატონიშვილებსაც გადასახლება უხდებოდათ, სტამბის მართვისთვის ილარიონის სტალოდა. ანტონ კათალიკოზმა დაუწყო სტამბას მფარველობა, ესეც დროებითი იყო, ამის მფარველობის დროს ამ სტამბაში არა დაბეჭდილა რა. 1804 წ. სტამბის იარალი და ყოველისფერი მოწყობილება რუსეთის მთავარ-მართებელს

გარდაცეცა. მთავარ-მართებელმა სტამბას ჯეროვანი ყუ-  
რადღება მიაქცია, მისთვის რუსეთიდამ გამოიწერა ზოგი-  
ერთი საჭირო რამ იარაღები, ქალალდა, მასთან  
რუსული ასაფებიც და 1805 წ. ვასხნილ ი მშა ძევ-  
ლი სტამბა. 1805 წლის შემდეგიდამ ამ სტამბა-  
ში ქართული წიგნის ბევრი აღარაფერი დაბაჭდილა რა.  
იბეჭდებოდენ შხოლოდ ქართული ლოცვის და ანბანის  
წიგნება, მასთან რუსეთის განცხადები, საქართველოს  
მთავარ-მართებლებთა ბრძანებანი, განკარგულებანი და  
სხვა-და-სხვა დარიგებანი, ყველა ესენი მარტოთ ქართულს  
ეწარედ იბეჭდებოდენ. 1810 წ. ამ სტამბაში გამოიცა  
ქართული გრამატიკა. მასთან რუსულ-ქართულის „რაზ-  
ლავორის“ წიგნი, ლოცვანი ანბანითურთ, 1811 წ. დაი-  
ბეჭდა ვარლამ არხიერებისკოპოსისაგან შედგენილი საქარ-  
თველოს სამღვდელოების, ბერების, ეკკლესიების, მონა-  
სტრების, მათის მამულების და სხვა-და-სხვა საქმეთა აღ-  
წერანი, რომელიც წარდგენილ იქმნა საქართველოს მთა-  
ვარ-მართებელთან, მთავარ-მართებელმა ეს აღწერა და  
მოსაზრება რუსეთის უწმინდესს სინოდს გაუგზავნა და  
უმაღლეს მთავრობასაც.

ეს აღწერა ჩვენ ვნახეთ, მასში აწერილია იმ დროის  
საქართველოს ეკკლესიების და მონასტრების რიცხვი,  
მღვდლების, მთავრების, დიაკონების, არქიმანდრატების,  
ეპისკოპოზების, ბერების, მონასტრების, მამულების და  
მათი შესავალ-გასაელის, თან დართული აქვს რჩევა, რომ  
თუ მთავრობა აქ რამე ცვლილებას დაინახავს საჭიროთ,  
მაშინ კათოლიკოზობა გაუქმდეს და მის მაგიერ განწეს-  
დეს ეგზარხოსი, როგორც ეს ბოლგარიაში არისო. სა-  
ქართველოში მყოფ ეპისკოპოზებს დაენიშნოს ამდენ-ამ-  
დენი ჯამაგირიო. ცელილება ამ არხიერებისკოპოსის წეს-

დების თანხმათ ძოხდა, პირველ ეგზარხოსათაც ესევე იქნა დარიშნული, ხოლო ანტონ II კათალიკოზი რუსეთს გადაიყვანეს, სადაც ოცხოვრა და გარდაიცვალა. 1814 წ. ამ სტამბაში გამოიცა ქართული სახარება მხედრულათ, მცირე ნის შედეგიდამ სტამბა გაფართოვდა, ახალი ასო-ები შეიძინეს და ამ სტამბაში 1817 წ. ქართული გაზეთიც გამოიცა. დღევანდველი კავკასიის მთავარ-მართებლის სტამბის დრო 1707 წ. მისწვდება, ეს სტამბა იქიდამ არის გადმოკეთებული. ცხადია, რომ დღევანდველ სტამ-ბის საწყობში ბევრი რამ ძველი ნითები და იარღები იქ-მნება დაშვენილი, როგორც ვახტანგ მეფის სტამბის დროის.

ამ სტამბას, 1829 წ. მოვარა მეორე სტამბა, კერძოთ ქართული წიგნების და უურნალ-გაზეთების დასაბეჭდათ. მეორე სტამბა გახსნილი იქმინა სოლიმონ დოდა-შვილისაგან, ბერის ივანე ხელაშვილის საფასით, რომელ ბერიც ბატონიშვილებს ვადაპყა რუსეთში და იქ სუროვ-რებდა. აქედამ ჩვენ მიუბრუნდებით ისევ XVIII საუკუნეების და ავწერო იმ სტამბებთა ცნობებს, რაუკი ხსნებულს საუკუნეში რუსეთში დახსნა, მერე საქართველო-ში დახსნილებს შეეცებით.

ვახტანგ მეფის შეილები მწიგნობარნი იყვნენ, ესენი რუსეთში მოსვენებით სცხოვრობდენ, მათ ძრიალ ეთანა-ლრებოდათ გული საქართველოს შესახებ. ბაჟარშა და ვა-სუშტიმ განიძრახეს ქართული სტამბის დაარსება. ამის-თეის მათ აიღეს ნება-რთვა, ჩამოასხმეუინეს ქართული ასოების ყალიბები, ასოები და 1734 წ. სტამბა გა-ხსნეს მოსკოვის ახლოს, სოფ. „ესესვიარკოვში“ სადაც იწყება, საღმრთო წერილის წიგნების ბეჭდვა და მცირე ღროის განმავლობაში რამდენიმე ნაირი წივნიც აღბეჭდეს.

ამავე დროს, რუსეთის ეკკლესიის წინაშე მსახურებდა იოსებ სამებელი, გვისკოპოსი, კაცი მჭიდნობარი, სამღროთო წერილის კარგათ მცოდნე. მაღალის ეტერგიით დაჯალ-დოვებული, მას დიდი სიყვარული ჰქონდა საქართვე-ლოს და ქართულის მწიგნობრიბის, მას დიდათ ენატრე-ბოდა, რომ საქართველოშიაც ალორძინებულიყო საჭირო წიგნების ბეჭდვის ოსტატობა იმ კვალათვე, როგორც ეს მის დროს რუსეთში იყო. ამას ნატერა აღრიდანვე ჰქონდა, მიტომ იგი შეუდგა სამზადისს, რასაც ჯამაგირს იღებდა, იქიდან მონარჩენს ქართულის სტამბისთვის ინახავდა. ამ საქმისთვის დიდათ იშრომა და უკანასკნელ მოახერხა მოსკოვში გადასვლა, იქ ვახტანგ მეფის შეილებთან და-ახლოებია და სტამბის გახსნაზე ცდა. ამ საქმეში ბატონი-შეილებმაც განჯზირეს თანაგრძნობა. ბაქარ ბატონი-შეილისაგან ჩამოსხვულ ყალიბებით ჩამოასხმევინა ქარ-თული საჭირო ასოები, შეიძინა ორი სტანკი და 1735 წ. მოსკოვში, ბაქარ ბატონიშვილის სახლში, უწმინდესის სინოდის ლოცვა-კურთხევით, გახსნა ქართული სტამბა, სტამბაში მოთავსებული იყო ხუცური და მხედრული ასოები.

ეილენ სტამბას გახსნილა, მინამ იოსებ სამებელს წიგნების ბეჭდვის გეგმა შეედგინა. პირველ საბეჭდ წიგ-ნად „დაბადება“ დაენიშნა. ამ აზრისავე იყო ბაქარი და ვახუშტიოც. როგორც იოსებ სამებელს ესწორებინა ქარ-თული „დაბადება“ რუსულ და ბერძნულ „დაბადებასთან“ ისევე ვახუშტის და ბაქარს ემუშაქნათ „დაბადების“ შე-სწორებაზე. შემდეგ ამათ ორივ შრომა ერთად შეაერთეს. იოსებ სამებელმა საქმე ისე მოაწყო, რომ ბაქარის მიერ დაფუძნებულ სტამბაც თავის სტამბას შეუერთა და ამ სტამბაში მათ იწყეს ქართულ-ხუცურ და მხედრულ

წიკნების ბეჭდვა. სტამბის ზედამხელეელებათ ანუ მუშა-  
კებათ დანიშნულ იქინება: ხუცუს-მონაზონი ქრისტეფორე  
გურამიშვილი და მღვდელი ფილიპე, ეს ფილიპე იმერელი  
იყო, მოსკოვში მახურებდა მღვდლიალ, 1750 წ. დაკვირ-  
ვებულა, იოსებ სამებელიან უმაათურნია, შემცირ საქარ-  
თველოში მოსულა, ანტონ პარველს გვისკოზათ სუკურ-  
თხებია, ხოთის კათედრაზე დაუზიშნავს, ოსმალთ ახარე-  
ბის ბერძნებით ეს კათედრა გაუქმდა, ფილიპე რუსეთში  
გარდასახლდა, იქ გარდაიცვალა. ამ სტამბაშივე მოლვა-  
წერაბდა დავით მღვდელი. ზედა-შედეველათ დანიშნულ  
იქმნა ვახტანგ მეფის მდივნათ ყაფილი მელიქსელევ აბე-  
ლისშვილი კავკასიძე. სტამბის გახსნაში თავის საფასით  
დიდა ეხმარებოდა ხუცუს-მონაზონი ქრისტეფორე გურა-  
მისშვილი.

1735 წ. დაარსებულს სტამბაში, წიკნების ბეჭდვა  
მხოლოდ 1736 წ. დაიწყეს. ხუცუს-მონაზონ ქრისტეფო-  
რე გურამიშვილმა თავის შრომათ გამოსცა შემდეგი წი-  
გნები: მარჯვანი, ზატიკი და აჩბანის წიგნი. ეს  
მღვდელი ქრისტეფორე გურამიშვილი ყოფილა მარ-  
ჯვენა ხელი იოსებ სამებელისა. ამ სტამბის დაარსე-  
ბის ისტორიას ით რაგვარ მოგვითხრობს თეთი დამარსე-  
ბელოვე კაჯამი: — „ოდეს იაურიბდა და განაგებდა კეთიადად  
გამებაბედი, კეთილ-მორწმუნე და თვით მშერობელი სიკეთიად  
რესერვისა დიდი სელიშითე იმპერატრიცა ანა იოანესია, მას  
უამისა იგულისმოდგინა უოკლად სანატორიუმის არქიეპისკოპოსი-  
მან გლადეგისმან და არსობანდრიტმან ურეკისმან, კართა მდი-  
გან მწიგნობართ უხევესის ქაბულის თამაზის ძემან, სამე-  
ბელმან იოსებ და მიბრძანა მე, უოკლად ულიოსია გურმის-  
შეიღს მღვდელ-მონაზონს ქრისტეფორეს, სტამბის გაე-  
ობა და გაგაეთებინეთ დიდის გუდის მოდგინებით და წარკე-

ბითა საფუძველთა მისითა, და დაიბეჭდა დაკითხი, ზატივი და სახარება.“ ამ ცნობილან სხანს, რომ ქართული სტამბის დაარსების ნატვრა ქართველთ გარდა ორს უცხო ტომის სასულიერო პირთაც დიდად სურვეებიათ. ამათ შემდეგ ამავე სტამბაში გამოუტია სხვა-და-სხვა წიგნები ქრისტეფორე გურამის შეილს. იმავ დროს, კახეთის მეფის არჩილის ასულის კარის დეკანის გოორგი ღამბარაშვილს დაუბეჭდია „მარხვანი“. ამის გასწორებაშე ამათაც დიდათ უმუშავნით. ამაზე აი რას სწერს თვით დამბეჭდი: — „მადითა დკონიათა, ვაშრომეთ და გილგაზეთ წმინდისა ამის „მარხვანია“ მე, უღრისმან ქრისტეფორემ, გახეთის მეფის არჩილის კარის დეკანზემან გიორგი ღამბარაშვილმა და სხვითა ვითნ მოწმობითა და შეწევნითა მოყიდვეთ რუსელი „მარხვანი“ და თანი ჩენის ენიას, და როგორრ რუსელ „ტიბიქონს“ და რიგი უჩნდა ისე იმ რუსელ „მარხვანზე“ ვასწორეთ და ისე შეკვრიბეთ ნუსხითა“. შემდეგ მოთხოვნილია, რომ რაც ჩვენში აკლდა იმას რუსულით გოორგი ღამბარაშვილი სთარგმნიდა და ზოთ ვავსებდით“, ასეთი შევსებული დაუბეჭდოთ. ჩენ, თფილისში, დაბეჭდილი „მარხვანუ“ გვეკავთ. ეს მარხვანი მეორეთაც დაბეჭდეს 1741 წ. ამავე წელს იოსებ საუბელმა დაწყისბინა ბეჭდევა ქართულის „დაბადებისა“ ირცელის ზომის, ამის შემუშავებაზე დიდი შრომა მიუძლივის ვაზუშტის, ბაქარს და ნამეტურ იოსებ სამებელს, გამოსაცემი ხარჯი თვით ამისი იყო. ეს „დაბადება“ დამთავრდა და გამოიცა 1743 წ. გავოცემის ბოლოში ვახუშტის წერილი აქვს მოთავსებული, იგი მოგეითხობს „დაბადების“ გასწორების, შეცდომების სწორების და ბეჭდების ისტორიას. „დაბადების“ შემდეგ ზოგიც სხვა წიგნები გამოიცენ განშეორებით. ყველა ამ წიგნებს სწრაფათ გზაენიდნენ საქართველოში და აკრცე-

ლებდნენ სამლედელოებაში. ამაობაში მოახლოვდა 1750 წლები, იოსებ სამებელი საქართველოში აპირებდა გადმოსელის და თან სტამბის გადმოტანასაც, მაგრამ ეს მას უკან მოუხდა, იგი გარდაიცვალა 1750 წ. და ყოველივე მისი აზრები ჩაფუჭულ იქნა. უნდა ესთქვათ, რომ იოსებ სამებელს რომ თფილისში თავის სტამბა გადმოეტანა, მაშინ აქ ძრიელ ბევრი წიგნები დაიბეჭდებოდენ. იგი სტამბა მდიდარი იყო და მეორე თვით იოსები და მისი მომხრენიც გამოცდილი იყვნენ წიგნების ბეჭდვაში. საეკლესიო წიგნებს გარდა იგინი უსთუოდ საერთო წიგნების ბეჭდვასაც დაიწყებდენ. თფილისში მაშინ ეს მეორე ქართული სტამბა იქნებოდა, მაგრამ ეს უკან მოხერხდა.

იოსებ სამებელი თავადისშეილთაგანი იყო, კერად ქობულაშვილი, თავის დროს კვალათ საქმიანისად განა თლებული, შცულენ რუსულის, სლავინურის და ბერძნულის ენების. იოსებ სამებელის სტამბა დარჩა მოსკოვს სამუდამოთ. მის ჩედამხედველობა ბაქარ ბატონიშვილს და რამდენიმეც სხვა მღვდელ-მთავრებს ებარათ. იოსებ სამებელის სიკედილის შემდეგ იქ შესწყუბა წიგნების ბეჭდვა. 1755 წ. ტფილისიდან განდევნეს რესეტს ანტონ საქართველოს კარამიკოზი. ეს მივიღდა რესეტის კარი სადმი, უკანასკნელ იგი დაიმუშავა იქმნა ვლადიმერის და იეროპოლის ეპისკოპოზათ. ამან იმეცადინა და 1759 წ. იოსებ სამებელის სტამბა ვლადიმერს გადაატვინა, დაინებული სტამბა იქ გააღვიძა, იქ გამართა და 1760 წ. წიგნების ბეჭდვაც დაწყო. სხეათა შორის გამოსცა „პლდე სარწმუნოებისა“ ვახუშტის ნათარგმნი. „თვენი“ მეორეთ. ქართულ-რუსულ-ლათინურ-ბერძნულ ანგანი და ზოგიც სხვა წიგნები. ანტონის საქართველოში დაბრუნების შე-

მდევ ეს სტამბა დახურულ იქმნა. ანტონის სტამბის  
გარდა 1761 წ. მოსკოვში მეორე სტამბა გახსნა ტფი-  
ლელ მიტროპოლიტ თანასე ამილახვარმა. ეს ათანასე  
1759 წ. შეუე ირცყლესაგან უსცეთში ელჩათ იქმნა გა-  
გზაენილი, ეს თანამომხრე იყო ვახტანგის ოჯახის და  
წინააღმდეგი ერეკლესი, ამიტომ რუსეთიდან იღარ და-  
ზრუნდა. რუსის ქვეშრობობა მიიღო. მეფე ერეკლემ  
რუსის მთავრობას ორჯელ სოხოვა ამ მიტროპოლიტის  
დაბრუნება, მაგრამ საქმე ეყრ მოხერხდა. ამან თავის  
სტამბაში გამოსუა შემდევი წიგნები: სამოციქულო, და-  
ეითი, ლოცვანი, ეამნი, დაუჯდომელი და 1767 წ.  
„პარაკლისი“ და ანბანის წიგნები. ანტონ კათალიკოზის  
საქართველოში დაბრუნების შემდევ ვლარიმერის სტამბაც  
ამ ათანასემ შეიძინა, მოსკოვს გადაატანინა და თავის  
სტამბას შეუერთა. ამისევ დროს დაიბეჭდნენ რამდენიმე  
საერთო ლექტნი და იამბიკოები ბატქარ ბატონის შეიღლისა.  
ათანასე ვიტროპოლიტი გარდაიცვალა 1774 წ. და და-  
საფლავდა დონის მონასტერს. ამის შემდევ სტამბა კარგა  
ხანს ასესებობდა, იქ სხვა-და-სხვა წვრილი სასულიერო  
წიგნები იბეჭდებოდა. უკანასკნელ ყველა ეს სასტამბო  
იარაღები და ნივთები მოსკოვის უწმინდესის სინოდის  
საკუთრებად გახდა, საქართველოს რუსეთთან დაკავში-  
რების შემდევ ქართული სასულიერო წიგნების ბეჭდვა  
მოსკოვს გადიორანეს, ეს ძევლი სტამბა განახლეს და იქ  
დაიწყეს ბეჭდვა. მოსკოვში ქართული სასულიერო წი-  
გნების ბეჭდვა გაგრძელდა 1860 წლებამდის. ამ დროთა  
სტამბის მმართველთ მოღვაწეობა იქამდა ს უფერულია,  
რომ მაზე საუბარი ჩვენ აქ მეტად მიგვაჩნია.

XVIII საუკუნის ნახევრიდან, რუსეთში, ქართველთ  
საშლელოებამ ერთობ ხშირათ იწყეს გამგზავრება, ხე-

ნებულ საუკუნის შესამე ნახევრამდის, ქართველთა ბინას  
მოსკოვი შეაღენდა, შეიღებ კი მათ პეტერბურგშაც  
იჩინეს თავი, ნამეჯურ ეკატერინა ივანერატრიცა მეორეს  
დროიდან. სხვათა მრავალთა შარას, პეტერბურგში იმ  
დროს, სცხოვებზე ქართველი ეპასკოპისი, გრიგოლ ხა-  
რევაშნელი. ამანაც იღვაწა და 1786 წ. პეტერბურგში  
გახსნა ქართული სტამა, ხადაც სხვათა შორის 1789 წ.  
დაბეჭდი ქართული სახარება. სხვა წიგნების ბეჭდვაც  
ჰქონია ამ ეპასკოპოზეს დაწყობილი, ჩაგრამ დამთავრება  
ველარ შესძლებია. მის შემდეგ ეს სტამა მითვისა ერთგამ  
არხიერესკოპოზმა, საქართველოში პირველ ქართველთ  
ეგზარხოსათ ყაფილმა, სტამა განაახლა და განავრცო.  
აქ დაბეჭდი მან ქართული „ოვენი“ სახარების ახსნა და  
ზოგიც სხვა წიგნება. 1815 წ. იქევ დაიბეჭდი ლექსიდ:  
„ქეთევან დედოფლის წამება“. შედგენ-ლი დიმიტრი  
ბაგრატოვისა, 1812 წ. რუსთა ლაშების მხედარ მთა-  
ვრის ბაგრატოვანის ძმის. ვარლამ ეგზარხოსად ყოფილი  
პეტერბურგის ქართული სტამის გახსნის საქმეს ასეთის  
ჩახრუხაულის ლექს ს კილომი შეამკობა:

„ლვთის შეწენითა, ზესთა ზენითა,  
მოსკოვს შემზადდა სტამა ქართული,  
ქსნის ერისთვისა, დვითის ძისა,  
ვარლამ ლვაწლი ქამ გამართული.  
ვინ იყო ძევლად, ახტალის მწყემსლად,  
აწ რუსთ სინოდის წევრათ შართული,  
გიძლენესთ ივერთა, ამერ-იმერთა,  
წიკნს დღესასწაულ მბეჭდველი სრული,  
მასთან იონა, ვინ არ იონა,  
შრომის მოყვარე ცენზორობითა;  
მიტროპოლიტმან გამშინჯ-გამჭვრეტმან,  
გედეონის ძემ ძეველ გვარობითა

ნიკიფორითა მკითხეს სწორითა,  
იგულს მოდგანეს საქართველოს  
კეთილ შობილმან პაიჭაძემან,  
მესტამბეჭ ყოვლით სახმარობითა.

ამ სტამბის გახსნით იწყება საფუძველი პეტერბურგ-ში ქართულის სტამბის გაძლიერებისა, თვით სამეცნიერო აკადემიის სტამბის ნიალაგის განმტკიცებაც ამას მიეწერება, რომელ სამეცნიერო აკადემიის სტამბაშიაც ბრიეტ და ჩუბინაშეილმა გამოსცეს 1840—1863 წლებამდე „ქართლის ცხოვრება“ გახუშტის გოგორაფა, ქართულ-რუსულ-ფრანგული სლავარი, ქრისტომატიები, ოანე შავთელის „საპასექო ცხრილი“ „ვეზხის-ტყაოსანი“ რამდენჯერმე, „სიბრძნე სიცრუე“ ქართული გრამატიკები, „ჩონგური“ ლექსთა კრება კ. ლორთქითანისაგან 1865 წ.  
და 1869 წ. „კაცია აღამიანი“ ილ. კავკავაძისა და რამდენიმე სხვა წიგნები. უნდა ესთქვათ, რომ მოსკოვის ქართული ასოები და პეტერბურგისა ერთმანერთისაგან დიდათ განიჩრევან. პეტერბურგის უფრო მოსაწონია, მის ყალიბები XIX საუკუნეშია შედგნილი და მოსკოვისა კი ძევლათ. დღევანდელ ჩვენ აკადემიურ ასოების ყალიბებს ნათესავობა 1712 წ. თბილისში გამოცემულს „ვეზხის-ტყაოსნის“ ასოების ყალიბებთან აქვს. მოსკოვის კი მეტათ განკერძოებულის თვისებისა არის, მათ რამდენიმე ქართველთ სასულიერო წოდების პირთა სახის ბეჭედი ატყვია. ეს უფრო რთული სამჩერ საკითხია, პეტერბურგის კი მეტათ ვარტივი, კოხტა, ნაწერულ წვნიერ ასოებია. პეტერბურგის სტამბაში პაიჭაძეს შემდეგ მეტათ მცდელი ხელოსანი ყოფილა მესტამბერაბიძე, რუსეთში მყოფ ყველა ბატონიშვილების მომსწრე. ჩაუ-კი პეტერბურგს ან მოსკოვს XIX საუკუნეში ხუცლი და მხედ-

რული წიგნები დაბეჭდია, სულ ამ ამომწყობლის ამო-  
წყობილი ყოფილია. 1841 წ. გამოცემულს „ვეფხის ტყა-  
ოსნის“ ბოლოზე მ.რი ბროსესაგან მისკეთილია შემდე-  
გი ტაქტი, საჭაც მოიხსენებრნ ტაბიძეს ასე:

„ციმონ მესტამბე ტაბიძე, გეპდევაზე იყო მცდელია,  
დავაკდეთ წიგნი აწ ახლად, განახლდა ძევლის-ძველია“.  
და სხვანი. ზემოხსენებულ სტამბეს გარდა რუსეთში,  
კრემენჩუგსაც გამოიცა ქართული წიგნები. აქ ვიტუვით  
ამაზეც მცრავდ.

XVIII საუკ. ბოლოს, საქართველოს რუსეთთან და-  
კავშირების ხანა უკვე ახლოედებოდა. ამისთვის გამარ-  
თული იყო მიწერ-მოწერა. ორივე მხარეში საკირონი  
იყნენ რუსულ-ქართულ ენების კარგად მცოდნე პირე-  
ბი. ერთი ასეთაგანია გაიოს ნაცელიშვილი, მოწაფე ან-  
ტონ კათალიკოზია, რომელმაც სწავლა მოსკოვის აკა-  
დემიაში დამთავრა 1768 წ. შემდეგ საქართველოში და-  
ბრუნდა და 1781 წ. თელავის სემინარიის რექტორ თ  
იქმა დანიშნული, ამ დროს იგი არქიმიან. რ. ტაძ იყო.  
მცირე ხნის შემდეგ რუსეთის მთავრობის დავალებით მან  
რექტორობას თავი გაანება და რუსეთში გადასახლდა, იქ  
ეს დიდის პ. ტივით მიიღეს, დანიშნულ იყო უცხო ქეყა-  
ნათა კოლეგიის ნაწილში ქართული ენის მთარგმნელათ.  
შემდეგ გარემოებამ კრემენჩუგსა და ტყიარცხა. იქ ეს ამა-  
იდ არ დაშთა, იქაურს ერთს სტამბაში მოაპოვებინა  
ქართული ასოები და 1793 წ. გამოიცა 1) „ქართული  
გრამატიკა“, 2) 1798 წ. „საკასკრო ლოცვანი“, 3)  
„მცნება დასილის ბერძნთ მეფისა“ და რამდენიმეც სხვა  
წვრილი წიგნები. წვრილ წიგნებისამ ჩენ დრომდის ვერ  
მოაღწიეს. მიზეზი წიგნებთა მცირე რიცხვის ბეჭდვა უნ-  
და ჩათვალოს. საქართველოს რუსეთთან დაკავშირების

შემდევ, გაითა ნაცელი შეიღი ეპისკოპოზის ხრისტიან  
მაზრულებს და ყაზლარის კათედრაზე გადმოიყვანეს. ეს ე-  
ვე კანავებდა ისეთის სამქადაგებლო კომისიის საქმესაც.  
აქ, ეპისკოპოზის დროს, ყიზლიჩშიაც გაუსხსნია ქარ-  
თული სტამბა და ორი თუ სამი წიგნი დაუბეჭდია, ამ  
წიგნების მოპავება ერთობ იშვიათია. 3. უძიებაშეიღის  
სატევით, სამეცნიერო აკადემიის წიგნთ-საცავში ინახება  
მხარეოდ ორი წიგნაკი. სხვაგან არსად არაფერი დაშორე-  
ნილა. ამ სტამბის ისტორია ჩერნოვის უცნობათ არის  
დაშორებისა, თუმც გაითხოს ცხოვრების შესახებ ნიკო-  
ლოზ მთევარელიშვილისაგან საქართვისად საფუძველიანი  
მონოკრაფია გვაქას ქართულს მწერლობაში.

რუსთავი სტამბების შესახებ უნდა ესთქვათ, რომ  
ზეპისხენებულს სტამბებს გარდა პეტერბურგს და მოს-  
კვეს სხვა-დასხვა უცხა ტაზთა სტამბებშიაც მოიპოვე-  
ბოდა ქართული ასოქი; სადაც ქართულს წიგნებს თუმც  
არა ხშირად, ჰავრამ ხანდისხან მაინც ბეჭდავდენ. ასეთი  
იყო ფირაულოვის, მცენ გროჩის მდივნათ ყოფილის, ქარ-  
თული გამოცემანი და ზოგიც სხვა მწიგნობართ ქარ-  
თველთა, მაგრამ ამ სტამბებთა ცნობებს ჩვენ არ ვეხებით,  
რადგანაც მათს არსებობას ჩერნის ისტორიის მასალებთან  
დიდი რამ კავშირი მაინც და მაინც არა აქვსთ, ამიტომ აქ  
ამით ვათავებთ საუბარს და გადავდივართ **XVIII** საუკ.  
იმერეთის სტამბის იღწერაზე. 1709 წ. თფილისში გახს-  
ნილი სტამბა და ქართული წიგნების საქმე მთელს სა-  
ქართველოში ელგასავებ მოიფინა. იგი მრავალთათვის  
გახდა სარკეთ და საყურადღებოთ, ნამეტურ ყურადღება  
მიაქციეს ბერძენ-იმერთა. დაბეჭდილი წიგნების რიცვი  
უცხათ იყლაპებოდა. რაც თფილის 1709—1713 წლ.  
წიგნები გამოიცენ, იგი მარტო იმერეთის ერს არ ჰყო-

ფნიცა. მიტოქ მოხდა სსენებულ წიგნების მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე კამოცამა-კი საქართველოს გარეშე მოსკოვს და პეტერბურგსაც. წიგნების დიდი მოთხოვნილება ისმოდა, წიგნები-კი მცირე იყო, ერთს თხოვნას ვერ იქმაყაფილებდენ მშექვდანი, ქალალდის სიძეირის გამო ყოველთვის ცოტას ბეჭავდენ. ასეთმა ვარემოებამ იმჯრო დიდებულთა და ზურტებულთ შორის უადვილესათ გამოარკეთ ჰაზრი და ნატრო, იმჯრეთში სტამბის დაარსების და წიგნების ბეჭდის, ამისთვის იმერთა თფალისში გამართეთ მიწერა-მიწერა. იგინი თფილისის სტამბის გამზეთ სთხოვდენ საქმის მოწყობაში მხოლოდ ხელის შეწყობას. თუ არა სტამბის იარაღი გაქვსთ მეტი, შევეღირეთ და დაგვითმეთო. მაკარ ეს ვერ მოხერხდა, საბეჭდი სტანციი რუსეთიდან მოიღონეს, ხუცური და ხელრული ასოები-კი თფილისში ჩამოასხმევინეს. ბეჭდის შრომის შემდეგ, 1785 წლებში, ქ. ქუთაისს გაიხსნა უკვე პირველი ქართული სტამბა. სტამბა მოაწყო თფილისიდამ წასულმა რომანოზ ზუბაშვილმა, სტამბის კარგმა ხელოსანმა, ვალახერიდამ მოსულ ოსტატებთაგან განსწავლულმა. ამ ხელოსანმა ამოწყობაც იცოდა და ბეჭდვაც. სტამბის მართვის საქმეში დიდის ენერგიით აღმოსჩნდა გენათის არქიმანლიტი ზაქარია. ხელოსნობაში, ზუბაშვილის მარჯვენა ხელი ეს არქიმანლიტი ყოფილა, ამასვე უსწორებია წიგნები დასაბეჭდათ, კორექტორიც ეს ყოფილია. მხნე ოსტატმა სტამბის გახსნის უმაღლედებაში იმერთ ახალგაზრდებს აწყობა და ბეჭდეა შეასწავლა. მალე ამოწყობა და ბეჭდვაც დაიწყეს, 1787 წელს უკვე გამოიცა პირველად იმერთში ქართული წიგნი, შემდეგ პირველის სხვა-და-სხვა წიგნებიც აღიბეჭდენ, ყველა გამოცემის ზედაპირზე დაბეჭდილია მოხსენება იმერ-

თა მეფისა და კათალიკოზისა ისევე, როგორც ეს თუილისში იქმნა შემოლებული თვით ვაზტანგ მეექვსის დრო-დგან. ლოცვაში, ეკკლესიაში მოსახსენებლათ, თავის აღაგას მოიხსენებიან მეფე, მათი უახლოესი ნათესავი და კათალიკოზი. საეკკლესიო წიგნებს ვარდა XVIII საუკ. დამლევამდე რამდენჯერმე ქართული :ნბანის წიგნიაკებიც დაუბეჭდავთ ლოცვებით.

ამერეთის სტაბის და წიგნების ბეჭდვის ცნობები მალე მოიტინა სამეგრელის მთავრებს და ერს შორის, გურიაში, სვანეთში და სხვა ასეთ დაშორებულ კუთხე-ებშაც. მაგალიას მიბაძვას ყეველანი აპირებდენ, ამაო-ბაში მოახლოვდა XIX საუკ. დასაწყისი და მას თან გო-ჰუკა სხვა-და-სხვა შინაური და გარეული ცვლილებანა, რამაც ზემოხსენებულ მთავრებს ხელიდამ გაჭიაცალა მი-მბაძაობის ჰაზროვნება. იმერეთში, ქართული სტამბა ად-რიდგანე გაიხსნებოდა, რაუგანაც ამის საჭიროებას იმერ-თა დიდებულინ, როგორც ზემოთ ესთქვათ, XVIII საუკ. დასაწყისიდამე გრძნობდენ, მაგრამ ეს მათ ვერ უხერ-ხდებოდათ, რაუგანაც იმერეთშედ სასტუკათ მძლავრიბ-დენ მცრები, ამ ხანებში უძლურის სპარსელისაგან იმდე-ნი ვაება ქართლსა და კახეთს არ ადგა, რაც ძრიელის ოსმალეთისაგან იმერეთს. შედარებიასაც ვერ გავპედათ, აღა-მავად-ხანი რომ 1795 წ. იმერეთს დასცემიდა, მე დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ ეს უძლური ვერას ვა-აწყობდენ, იმერნი მთლათ დაულეტდენ მათ, მგორი ერ-თი სპარსიც ვერ წასულიყო აქედამ ცოცხალი, მაგრამ მათ ეს ასე არ მოუხდათ. მათ გაილაშქრეს უძლურს ქართლზედ, სადაც 80 წლის მოხუცი მეფე მეფობდა და მისი მძიმე და ბერულის მიმართულების ბევრის ჭამია გი-ორგი. თამამათ ეიტყვით, რომ იმერთ მძლავრის ოსმა-

ლის დაშოშმინების და მარჩილების ცეოხებით იმოდონი საქვეები ჰქონდათ, რომ მათ სტამბის და მწიგნობრობის პატრიოტიზმის სრულიად აღარაფერი დრო ჰქონდათ, რომ ეზრუნათ. როგორც კი მოიპყვეს მათ მარჯვე დრო, აყი მაშინათვე მოწყვენ სტამბის საქვეს. .

რადგანაც სტამბის არსებობა, ხარჯი და წიგნებია ბეჭედა დღის ძალის ითხოვდა, ამიტომ მეფე სოლომონის ბრძანებით სტამბის ზედამხედველ პატრონათ და გამ-გეო დაინიშნა სარდაცვი ზურაბ წერეთელი. რამდენიმე ხნის შემდეგ, იმერეუში უავი გაჩნდა, ამის მიზეზით სტამ-ბა ა.ჭაში გადიტანეს, სოფელს წესს და იქ გამართეს და წიგნები ბეჭედეს. მაგალითებრ ჭუთაისში სოფროა ეპის-კოპოზისაგან დაწყობილ „სადღესასწაულო“ ბეჭედი, წესს დაუმთავრებია ზურაბ წერეთელს 1811 წ. ა.ჭ. წერეთელში დაუბეჭდავთ „დაუკარგებდა აკადემიულია“ და ზოგიც სხვა წიგნები. რესთავან იმერეთის დაწორჩი-ლების შემდეგ სტამბა მაინც არ მოსპობილა, ზურაბ წე-რეთელს თავის მამულს საჩერაში გადუტანია და იქ უბე-ჭდავს წიგნები. მაგალითებრ საჩერაში გამოუკით „სა-ხარება“ 1817 წ. სახარების ბოლოს მიბეჭდილია შემდე-გი ცნობა: — „უფასო და მმანო, მომისსენეთ მე მდგარი და უდარსი არსამანდრიტი გაენათისა, ცოდვილი ზაქარია, რომელმან ფრიად შორმა თავს გიდევს წმიდა ამის სახარები-სათვის და მრავლითა ღვაწლათა აღვასრულებულება“ პირეელ გვერ-დზედ მიბეჭდილია შემდეგი: — „დაბეჭდა ესე საღმოთო სახა-რება საჩერებეს, სასახლესა სახლთხუცის წერეთლისას“ ქ. ქუთაისა, 1807 წ. დაბეჭდილს „დავითინზე“ მიწერილია შემდეგი: — „დაბეჭდა ღვთივ სულიერი წიგნი ეს ფილმუნი-თა სამეფოსა ქალაქსა ქუთაისს, პალატისა სამეფოსა უსურე-სობი თავადის სასახლთხუცესის ზურაბ წერეთლისათა, სე-

დითა მესტრაშვილის რომანთა ზურაბიშვილისათა. გამ-  
გებელი და ზედამსედგელი სტამბისა აის მდგრალი არსიმან-  
დორი ზაქარია, ფრიდა მშრომელი მუშაქობითა ვიღოცაკ,  
რათა მომისტერებულე. აქ მოხსენებულ მესტრაშვილ ზურაბის-  
შვილს ზოგს წიგნებზე ზუპაშვილათ მოიხსენებენ, ნამე-  
ტურ თფილისში, დაბეჭდილს წიგნებზე. ამ ზუპაშვილს  
გარდა იმერეთის სტამბაში სხვა იმომწყობი და მბეჭდავ-  
ნიც ყოფილა, ხოლო მათი ვინაობის ჩვენ არაუერი ვი-  
ცით. როგორც სხის, ეს სტამბა 1820 წლების შემ-  
დეგ დახურულა. საზღვალოდ კი ოჯახი ვსოდეთ, რომ  
იმერეთის სტამბის ცატორიის „შესახებ ჩვენ ერთობ მცი-  
რე მასალები გვაქვს.

ზემოთ, ტფილისის სტამბების საუბარში ჩვენ ს.  
ლოდაშვილის სტამბის მოსხენებაზე შეიტერდით. უნდა  
მოგახსენოთ, რომ XIX საუკ. დამდევილა ტფილისში,  
ერთი სტამბა ასევებობდა, ჩვენის მეფეების დროიდან და-  
შთენილი. ამ სტამბაში ქართული წიგნებიც იძექტებოდა,  
თუმც იშეიათად. 1814 წ. გამოიცა ქართული სახარება  
და პატარა წიგნები. 1829 წ. გახსნილ ს. ლოდაშვილის  
სტამბამ დიდხანს ერ გასძლო. ამ სტამბაზე 5000 მან.  
ფული დაიხარჯა მღვევლ-მონაზონ ივანე ხელაშვილისა.  
დამარსებელთ დიდი სამზადისი ჰქონდათ, ამ სტამბაში  
უნდა აღმცენილიყვნენ ყველა საჭირო სახელმძღვანელო  
წიგნები, ის წიგნება, რაც კი 1817 წ. გახსნილ სემენა-  
რიაში იქმნებოდა სახმარებლიდ საჭირო და ისევ იმ  
დროის „კეთილშობილთ სასწავლებელში“. ამავე სტამ-  
ბაში გამოიცა გაზეთი „ტფილის უწყება“ 1829 წ. და  
თვიური უკრალი 1832 წ. ამ წლის მეოთხე თვეს მო-  
სპობილ იქმნა ეს სტამბა და მას გამგე-პატრონი რუსეთში  
გარდასახლებული სამუდამოდ, იგი რუსეთიდან საქარ-

თველოში ველარ დაბრუნდა. მ სტამბის შემდეგ ტფილისში გაიხსნა სხვა სტამბი, აშრარხანელ სომხების ძარა არზანოვების, სადაც ქართული ასოებიც მოათავსეს. ამ სტამბაში პ. ოთხელიანმა დაბეჭდა შავთვლის და ჩატრუჭაძის პოემები. ეს სტამბაც მცირე ხანს დაუთა. აქ წნდა ესთქვათ შემდეგი: ხსენებული სტამბის პატრიკი სომები იყვნენ.

საქართველოში პირველად ამ სტამბაში დაიბეჭდა სომხური წიგნი, ესე იგი 1833 წ. მინამდის საქართველოში სომხური წიგნების ბეჭდების საქმე კი არა, ხსენებაც კი ქაშანებათ არ ყოფილი. პირველი მაგალითი იყო ეს, მათ დასტამბეს სომხური ლოცვის წრები და სასულებელი წიგნები, სხვათა შორის მათ დაბეჭდეს „ნერსესის დორეგებიჩ“ ქართულის ასოებით, ხოლო სომხურის სიტყვებით, რათა ამით იმ დროის საქართველოს ქართველ გვარის სომხებში სომხური ენა უაღვილესაა განეცრუოთ. ამით იგინი არ შეცდნენ, მათ ბრწყინვალე დარი დაუდგათ, საქართველოში ალ-დგინეს სომხური ენა, რაც შეეხება წიგნების ბეჭდებს, ესეც ხომ ყველასთვის ცხადია, ვგონებთ საუბარი და მტკუცბა არავის მოუნდება, ყველაფერი თვალით ხსანს, თუ ჩენ ქართველთ დაკირვება და შედარება გვექმნება. ქართული ბეჭდვის ისტორია საქართველოში 1707 წ. იწყება და სომხებისა 1833 წ. აბა ახლა ჩენი დღევანდელი ბეჭდეის საქმე მათსას შეეადაროთ, მითი ჩენზე ბევრათ ბევრი გამოვა. ზემო ხსენებული სტამბის დახურვის უმაღლ შეძენილ იქმნა იმ დროის სომხეთ ნერსესიანის სემენარიისაგან, რომელ სემენარიაც პირველად გაიხსნა საქართველოში 1830 წ. ამ დრომდის, საქართველოში არამც თუ სომხეთ სემენარიის ხსენება, არამედ უძრალო სამჩრევლო საწარებლის ჭა-

კანებაც კი აჩად იყო. მაგრამ აბა დღევანდელ პოიებს ჰყიუხეთ ამის შესახებ, თქვენ ნახავთ ივინი რა პასუხს მოგცემენ: ანი ქალაქის კედლები ლამის მცხეთას აღაშონ, პაოსის საფლავსაც ტფილიაში სხენიან. მიტომაც გადა- აკეთეს ქართულ დედა-ქალაქ ტფილისის სახელი—ტუხი. სად და ახალიხა ახსიხათ.(!)

სენებულს სემენაზის სტამბაშიაც იყო პოთავესე- ბული ქართული ასოები, აქაც ბეჭდავდნენ ქართულს ენაზე სხვა-და-სხვა განტხადებებს, ქართული წიგნები კი არა დამეტილა-რა, ერთაერთ სომხურს წიგნებს ბეჭდავ- დნენ. ამ სტამბამ ჩაუსდა საქართველოს სომხობას სული, თორემ მინამდის სომხები საქართველოში ცარიელ ჩონჩხს წარმოადგენდნენ. 1865 წ. ეს სტამბაც მოისპო. 1846 წ. საქართველოში მოვიდა ვორონცოვი. 1850 წლებში, ქართველი შორის ასტყადა საუბარი ქართულის დრო- გამოშევებითი გამოცემის შესახებ. გამოცემას მრავალი ნატრობდნენ. ვორონცოვმა მალე დართო თვიური „ცის- კრის“ გამოცემის ნებართვა. 1852 წ. გ. ერისთავის ოე- დაქტორობით „ცისკარმა“ იწყო გამოსვლა. უურნალის გამოსაცემად რეზაქტორმა ჩიუქებით სტამბის იარალიც შეი- ძინა იმ დროის მთავარ-მართებლის სტამბიდან, „ცისკრის“ დაწყებისთანავე სტამბაც გახსნა, მაგრამ „ცისკარი“ 1854 წ. ბოლოს მოსპო და 1855 წ. სტამბაც დაურჩა. 1856 წ. „ცისკარი“ ივ. კერძესელიძემ განაახლა, სტამბაც ნისიათ იყიდა 900 გ. 1857 წ. ამ სტამბაში დაიწყო „ცისკრის“ გამოცემა. ერთ წელიწადს 300 გ. უნდა მიე- ცა, მეორე წელიწადს 600 გ. მაგრამ ვეღარ მისცა. გიორგი ერისთავმა სტამბა დაუბეჭდა, „ცისკრის“ გამოცემა ერთ თვეს შეუჩერა! ივ. კერძესელიძემ დიდის წვალებით ფუ- ლი იშვენა და გ. ერისთავს ჩააბარა, სტამბა განთავი-

სუფლდა. ისიც კი უზდა ითქეას, რომ ეს სტამბა გ. ერის-თავს ვორონცოვის წყალობით მუქთათ ეჩუქა მთავარ-მართებლის სტამბილან, სტანკი ხისა ყოფილა, მესამე წელიწადს გატეხილა. მერე სხვა რეინის სტანკი გა-მოუწერია. ამაზე აი რა მიამპო ივ. კერძესლიძემ:

„სტამბის შეძენის მესამე წელს სტანკი გამიტყდა, აღმა ვარგოდა, მის ვალისაც 300 მ. გარდასახდილი მქონდა. უურნალი მიქერდებოდა. ერთ სალამოს ჩემს სახლში დავპატიჟე გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი, გ. მუხარანცი, ივ. მუხრანცი და ბევრიც სხვა ქართველი გენაოლები. დანიშნულს დროს, ფაიტონი ფაიტონზე გრიალით მოდიოდა, პოლიციასაც შევატყობინე, რომ მგზავრთათვის სახლის გზა ეჩვენებინათ, შეკრების შემდეგ მე მათ სტანკის შეძენაში დახმარება ვსთხოვე. ეს მათ მომიხერხეს. მალე სტანკი გამოვიწერეთ და სტამბა გა-ნვაახლე.“ ივ. კერძესლიძემ ამ სტამბაში ბეჭდა „ცის-კრი“ და ყველა თავის გამოცემანი. ეს სტამბა მას კარგა ხანს ეპყრა. 1873 წ. ექვთიმე ივანეს ქე ხელაძეს მიჰყიდა, ექ. ხელაძის სტამბა დღესაც არსებობს. ამ სტამბას სა-კმარასი ღვაწლი მიუძღვის ქართულს მწერლობაზე. ამ სტამ-ბაში დაიბეჭენ ძრიელ ბევრი საისტორიო წიგნები. აქ დაიბეჭენ ისეთი წიგნებიც, რომელნიც ქართულს მწერ-ლობაში პირველად იქმნენ აღმცენილნი. მაგალითებრ: — ქილიდა და მანა, გამოც. გრიგოლ გურიელისა, ფისრა-მიანი, «ვა მეტყველება» და ბევრიც სხვა წიგნები. ამას ვარდა აქვე იბეჭებოდენ ქართული ლრო გამოშევებათი გამოცემანი, გაზეთები და უურნალებიც, დღესაც ბევრი წიგნები იბეჭედება ამ სტამბაში.

ბ. ექვთიმე ხელაძის სტამბას ერთი დიდი სამსახუ-რიც მიუძღვის ქართველთა წინაშე, ნამეცურ ქართველ

გამომცემლებთა, რომელთაც-კი ქართული წიგნების გა-  
მოცემა იწყეს 1873 წ. შემდეგიდამ. ა) ერთი, თვით მე,  
ექ. ხელაძის სტამბა რომ არ ყოფილიყო მაშინ, იქმნება  
წიგნების გამოცემის მთხელებებაც ვერ შემძლებოდა, რად-  
განაც მაშინ თფილისში სულ ოთხი სტამბა იყო, სამს  
სტამბაში ჩემისთანა ლარიბი კაცი ფეხს ვერ მიღვამდა,  
რადგანაც ყველა ამ სტამბებში წიგნების საბეჭდს ფასს  
ისე რეცდენ, როგორც რუსეთის ქალაქებში. ჩვენ, ახ-  
ლად დამწყობნი ქართულის სახალხო წიგნების ბეჭდებისა,  
ამა როგორ მოვახდებოდეთ ასეთ ფასების ძლევას,  
მაგრამ ბ. ყეთ. ხელაძემ წაგვახალისა, აღმწყობას და  
ბეჭდებს ისეთი ფასები დაადო, სხვა სტამბის საბეჭდს  
ზომაზე ისე დააპატარავა, რომ ყოველი ჩეგნთაგანი აღ-  
ვილათ ჰკიდებდა რამე წაგნის გამოცემას. და ბეჭდავდა.  
ბ. ექ. ხელაძის მიხედვით შემდეგ სხვა მესტამბეჯებშიც და-  
აკლეს ბეჭდების ფასებს.

ესე რომ არ მოვხერხებინა ბ. ექ. ხელაძეს, მაშინ  
ჩვენ, ქართველი გამამცემელნი, ბევრს ვერას გავაწყობ-  
დით. პირველი: მაშინ საპეტლი ქალალდიც ძვირი იყო,  
რასაც მაშინ ოზმას 4 მან. იყიდულობდით, დღეს ის 2  
მან. ლირს, გარდა ამისა წიგნების ბეჭდებაც ახალი საქმე  
იყო, საქართველოში სახალხო წიგნების ბეჭდვა პირვე-  
ლი მაკალითი იყო, ჯერ სამისოდ არა იყიდებოდა-რა,  
თითო გამოცემა რამდენსამე წელიწადს რჩებოდა, რის  
წვალებით და ვ-ივაგლახით ვრცელდებოდა, ზოგი მუქ-  
თათ რიგდებოდა სოფლებში, ზოგი აქა-იქ ქალაქებში იგ-  
ზავნებოდა და იქაც იყარგებოდა ისე, რომ გამომცემელის  
ყოველთვის სხვა საქმეებიდამ უნდა ელო ფულები და ახალ-  
ახალ გამოცემაზე უნდა ეხარჯა, წიგნები კი ხალხში  
მუქთათ უნდს ერიგებინა, რომ ამის მეოხებით სა-

მერმისოდ ხალხში წიგნების კითხვის სიყვარული იღუ-  
ძინებულიყო, თუ ეს არ., უ-მისოდ არა გაკეთებულია-  
რა. ივით ბ. ექვ. ხელაძეც ბეჭდავდა ქართულს სხვა-და-  
სხვა წიგნებს. იგი დღესაც ბეჭდავს საკუთარს გამოცემაებს.  
მე კარგათ მასა-ოს, რომ 1875 წ. 3. უმრავშვილია და  
ექ. ხელაძემ, საკუთის-ცხოვლობის დღესასწაულ დღეს  
თფილისიდამ ერთი ტომარა ქართული წიგნები წაიღეს  
გასასყიდათ, მაგრამ იქ სულ ვ მან. ვერ გაეყიდნათ, ისიც  
ნაცნობებს ეყიდნათ. ხალხი ამას არ მისდევდა. ასეთი  
იყო მაშინ ჩეენი მწიგნობრობის და გამომცემლობის მდგო-  
მარების საქმე. ამას რომ ექ. ხელაძის სტამპა არ მოვ-  
ლებოდა, იგი მაშინ საკმარისად შეფარხებული დაშე-  
ბოდა და იქნება პერს ეყლარუ-კი გმოველა წიგნი.

ამ სამარაჯისოდ მოსაგონარ საქმეს გარდა ამ სტამ-  
ბას და მის პატრიატ ერთი ხევა სამსახურიც მიუძღვის  
ჩეენ-ს ტომის და ნამეტურ სამღვდელოების წინაშე, ძა-  
გალი იქნა: 1887 წ. თფილის უმაღლეს სამღვდელო  
პირებთ შორის აღიძრა კითხვა ქართულის საეკკლესიო  
წიგნების ბეჭდვაზედ, რაღანაც იმ დრომდის საეკკლესიო  
წიგნებმა ველარ მოაღწიეს, ადრე მოსკოვში დაბეჭდილინი  
ეკკლესიებში ხმარებისაგან გაცვდენ, მთლად დაიფხრიშ-  
ნენ. გარდა ამისა ეკკლესიების შენებაც გამრავლდა. საქმე  
კინაღამ ისე მოხერხდა, რომ ამ წიგნების ბეჭდვა იდრინ-  
დებულათ მოსკოვში უნდა გადაეტანათ, სადაც ვინ იცის  
რაგეარ და რანაირათ დაბეჭდებოდენ. ეს გარემოება  
ბევრს ეწყინა, განა დღეს ჩეენი სტამბები იმოდენად არ  
უნდა იყოს დაჯილდოვებული, რომ თფილისში მოვახერ-  
ხოთ საღმრთო წერილის წიგნების ბეჭდვაო! ეს რასა  
ჰგავსო. მრავალნი უკუღმართი ისეთ აზრების იყვნენ,  
რომ ვითომეც თფილისში ვერ გამოსცემენ ისე, როგორც

მოსკოვსთ. ამ გარემოებას მკაცრათ აღუდგა წინ ექვ. ხელაძე, რუსეთის სტამპების ფასას საკმარისად დაუკლოდა საღმრთო წერილის წიგნების ბეჭდვა მან რთხოვა, ზოგმა ეჭვი განუტადეს, ვერ გამოსცემო. ამან პირობა მისცა ასე: პირველი—იაფათ დაბეჭდებავ, მეორე—იაფილისში უფრო კა კომისია. შესდგება, რომ წიგნების კორექტურა კარგათ შესწორდეს. მესამე—თვით დედნებიც შეიძლება გაუშვებესდეს და განზილულ იქმნეს მცოდნე პირებთაგან. შეითხე—ამისთვის მე გიჩვნობას შემოვიტან სინოდის კანტორის წინაშე, რაზ თუ ყოველივე ასე არ აღსრულდეს. თფილისში უფრო უკეთესად არ გამარცეს ქართული საღმრთო წერილის წიგნები, მაშინ მე ჩემს გიჩვნობაზე ხელი ავილო, ჯარიმაც გადავიხადო. ბევრის შრომის და სჯის შემდეგ დაადგინეს, რომ ქართული საღმრთო წერილის წიგნების ბეჭდვა თფილიში იქმნეს დაწყობილი და არა მოსკოვს, როგორც ეს მანამდის უნდოდათ ზოგიერთ პირებს.

ამ საქმის წინაშე სამსახურის გარდა პ. ექ. ხელაძემ ქართველთ ამომწყობლებსაც კი სამსახური გაუწიო, რომ ასეთი დიდი საქმე თფილისში მათ გასაკეთებლად გახდა. საღმრთო წერილის წიგნების ამოწყობის და ბუშაობის ფული ასამდენსამერ ხელოსნენს ქართველს საყოველ-თავოთ დაარჩენს კოლ-შვილით. დღეს, ქართულის საღმრთო წერილის საბეჭდ სამკითხორ ბინათ თფილისის სტამპები იავჭურდა.

ამასთან პ. ექ. ხელაძემ ბეჭრი სოფლელი ყმაშვილებიც დაზარდა, სტამპის ხელობის კოდნა მათ საუკეთე-სოდ შეასწავლა. ყველა სტამპებში დღეს ამისაგან დას-დილი შეგირდები ამშევენებენ თავიანთ საქმეებს და მასთან ქართულ წიგნების ბეჭდვესაც. უნდა ითქვას, რომ ზოგს მათვანს საკუთარ სტამპაც აქვა, თავიანთ საქმეებსაც კარგათ უძლვებან, ხანდისხან ქართულ წიგნებსაც ცეკვდავენ.

პ. ექტომე ხელაძის სტამპის გახსნამდე ტფილისში არსებობდა ებრაელის დუბელირის სტამპა, მერე ეს სტამპა გიორგი წერეთელმა შეიძინა და „კრებული“ და „დროე-

ბა“ იქ იბეჭდებოდა. ეს სტამბა გიორგი წერეთლის ხელში რამდენსამე ხანს დარჩა, შემდეგ ისევ პატრონის ხელში გადავიდა. მერე ეს სხევამ შეიძინა, ავლაბარში გადაიტანეს და იქა ვბეჭდავდით წიგნებს. მათსავე დროს ტფილისში აჩსებობდა უურნალ „მნათობის“ სტამბაც. მაგრამ იგი მცირე ხანს დარჩა.

1860 წლებში ქართველთ თვალი გაახლეს, მასთან მათ საჭიროთ დაინახეს „ისკარს“ გარდა სხვა უურნალს გამოცემაც, უურნალისთვის სტამბაც იყო საჭირო, ივ. კურესელიძის სტამბა ყველას ვერ აქაყოფილებდა, სტამბის გახსნა-კი ძნელი საქმე იყო, ამიტომ 1862 წელს მეწიგნე ეფანჯიანცის ძმამ თავის სტამბაში ქართული ასოებიც მოათავსა, 1863 წ. აქ გამოიტა „საქართველოს მოამბე“. დღეს ეს სტამბა ტ. როტინიანცს ეკუთვნის, საღაც „კვალი“, „ჯეჯილი“ და სხვა და სხვა ქართული წიგნებიც იბეჭდება. „საქართველოს მოამბის“ დაუურევის შემდეგ ქართველთ გაზეთის გამოცემაზე დაიწყეს თათბირი. გაზეთის გამოსაცემად სტამბაც იყო საჭირო, ამიტომ რამდენიმე კაცი შეიყარა ერთათ: დ. ბაქრაძე, ე. თულაშვილი, დ. ყიფიანი, სტეფ. მელიქიშვილი და რამდენიმეც სხვა პირი და 1865 წ. თუთილისში სტამბა გახსნეს, საღაც ქართული ასოებიც მოათავსეს, გაზეთისთვის სულ ახალი ასოები ჩამოასხმევინეს და 1866 წ. მარტალამ „ლროების“ ბეჭდვაც დაიწყეს. ამ სტამბაშიაც ბევრი წიგნები და უურნალ-გაზეთები იბეჭდებოდა. დღეს ეს სტამბა „ქართველთ წიგნთ გამომცემელს ამხანვობას“ ეკუთვნის, საღაც და იბეჭდები აკაკის ნაწერები, ილ. ჭავჭავაძისა, ყაზიბეგის, პეტრიაშვილის და ბევრიც სხვების. დღეს „მოამბე“ და „უნობის ფურცელი“ აქ იბეჭდება.

რაც ნელ-ნელა დროი მითრინავდენ, მათ და-ნებული ქართველიც გამოფხიზლებას ეძლეოდენ, მწერ-

ლობაც შესაფერს სულსა და ხორცს ისხვდა, რიგიან  
მწერლებმაც მრავლათ იწყეს თავის ჩენა წიგნების ბეჭდ-  
ვაც განშირდა, ამ სისშირეს სტამბის ლქონლობა და სა-  
კიროებაც თვალ-ზღულათ ემზირდა. 1884 წლებში,  
თვეულისში გაიხსნა აალი ქართული სტატა გრ. ჩარქ-  
ვარი,, არ. კალანდაძის და ალ. დრევიჩის. სტატის მო-  
წყობილება ძელი იყო, მაგრამ საქებეს მარც უძღვებო-  
დენ. ამ სტატაში დაიბეჭდა ვახუშტის ისტორია, დომ.  
ბაქაძის რედაქტორობით, საბა პრეცენტის ლექსიკონი  
და ბევრიც სხვა წვრილი წიგნები. ერთ დროს გაზითი  
„დროებაც“ აქ იბეჭდებოდა, უკანასკნელ სტამბის საქმე  
აირ-ლაირია, ამხანაგებმა კინალამ ერთმანერთი დაჭამეს,  
ერთი წელიწადი დაკვირვი იყო, მერე ესენი მოარიგეს  
დ. ბაქაძემ, რაფ. ერისთავია, ისა. ბაქაძე და მე. სტატა  
ორათ გაიყო: ერთი ნაწილი არს. კალანდაძეს არგუნეს,  
მეორე გ. ჩარქვანს. უკანასკნელის დღევანდლ-მდე არ-  
სებობს თფილისში—აქ იბეჭდება სხვა და ხეა ქართული  
წიგნებიც. მეორე ნაწილი დეკანოზმა დაეით ღამბაშიძე  
შეიძინა და ქუთასს გად-იტანა, საღაც დღევანდლამდი.  
საც არსებობს ეს სტამბა. 1891 წლებიდამ კვალაჭ მოე-  
მარა ერთი ქართული კარგი სტამბა. ეს სტამბა გახსნეს  
მაქსიმე შარაძემ და მი-მა უანგარო მუშაკ ამხანაგებმა:  
ესტ. კერძესელიძემ, სფ. ლოსაბერიძემ და ეს. გძელიძემ.  
ამ სტამბის გახსნა და მის უანგარო მუშაკთ ძალა მეცა-  
დინებამ დიდი სამსახური გაუწია ჩვენს ქართველობას.  
ლღეს აუ სტამბაში იპეტდება აუარგელი ქართული წიგ-  
ნები. აქ იბეჭდება იაკობ გოგებაშვილის წიგნები, ჩემი,  
თვით სტატის ამხანაგობის და ბევრიც სხვების. აქვე  
იბეჭდება გაზითი „ივერია“ და ხანდისან სხვა და სხვა  
დრო გამოცემანც. დღეს თუილისში თოხი ქართული

სტამბა არსებობს, საღაც ნახვრამდის ქართული წიგნები და საქმეები იტეჭდება. უნდა ესოქვათ, რომ დღეს არც ეს სტამბები ჰყოფნის ქართველთ და ამ სტამბებს რომ ერთი სხვა ღილი სტამბაც მოემატოს, მაშინაც კი საკმარისი იქმნება მათვის საქმე, რაღაც ხშირად ხსნებული სტამბები ვერც კი ასდიან საქმეების შესრულებას.

მაშასალამე მკითხველი აშკარათ მიხვდება, რომ ჩვენში, რამდენიც დრო გადის, იმდენი მწიგნობრიბის საქმეც წინ მიღის და სტამბის მოთხოვნილებაც ემატება. სტამბა და წიგნის ბეჭდვის საჭიროება თვილისს გარეშე საქართველოს სხვა კუთხეებსაც დიღათ დაეტყო, ასეთია ნამეტურ იმერეთი. ქუთასში მთავრობისაგან გახსნილი სტამბა 1850 წლებიდამ არსებობდა, ამ სტამბაში ხანდისხან ქართული წიგნებიც იბეჭდებოდა, მაგრამ ეს არ კმაროდა, 1880 წ. იქ გაიხსნა მეორე სტამბა საღაც ქართული წიგნების ბეჭდვამაც კარგათ იჩინა თავი. 1875 წლების შემდეგ იმერეთს უფრო ემცნეოდა წიგნების ბეჭდვის მოთხოვნალების საჭიროება, იმერეთ შორის ზოგიერთებმა იწყეს სხვა და სხვა წიგნების გამოცემა ქ. ქუთასის. ამ გარემოებამ სხვა სტამბის გახსნაც მოითხოვა, მალე გაიხსნა იქმ. გამრეკელის სტამბა, საღაც ერთ დროს გაზეთ „შორმაც“ იბეჭდებოდა. აქვე დაბეჭდა „ვეფხის ტყაოსანი“ სახალხოთ, ახალის სახის მექონ ასიებით, რომლის ყალიბების ჩაპოსხმა და ასოების შემოღება კ. ლორთქითანიძეს ეკუთვნის. ეს ასოები დაწუნებულ იქმნა ქართველთაგან, ამიტომ იკი დაშთა უხმარებელ. ერთის შეხედეთ ეს ასოები ბერძნულ ასოებს ჰგავს, კაც თეალს უქრელებს; ამას ბევრათ სჯობია ის ახალი ასოები, რომლის ყალიბები ნიკოლოზ ნიკოლაძემ პრიზში გააკეთებინა, ასოებიც ჩამოასხმევინა და საბეჭდათაც ვცა-

დეთ, მაგრამ ვერც იგი აღმოჩნდა ჩეენს უარსაგათ. შედარებით-კი ეს უნდა სჯობდეს ზემოხსენებულს და ქუთაისში შემოლებულს. ეს სტამბა შემდეგ გადავიდა პ. წულუკიძის ხელში. ხსენებულ სტამბას მოჰყვა ბ. ფერაძის სტამბა, სადაც ქართული ასოებიც მოათავსეს და წიგნების ბეჭდვაც დაიწყეს.

იმერეთში ყველაზე დიდი შრომა და ამაგი გამოიჩინა დეკ. დ. ლამბაშიძის სტამბამ, სადაც დღევანდლამდე იბეჭდება სასულიერო გაზეთი „მწყემსი“ და აკაკის თვიოური ეურნალი „კრებული“. აქეები იბეჭდება სხვა და სხვა სასულიერო დიდრონი წიგნები, ხშირათ წერილი წიგნებიც, სახალხოდ, კაპეიკიდამ დაშვებილი 10 კაპ, ზოგი ჩეენის ისტორი-დამ და ზოგიც საღმრთო სჯულის ისტორიიდამ. სტამბის დაარსებამ და წიგნების ბეჭდვამ დიდი საჭმე, დიდი სამსახური დათვეს, იმერეთის ერში წიგნების კითხეა და სიყვარული უადვილესათ აღაფრთვანეს, თფილისის მაწანწალა ვაკრების წიგნებსაც იქით გზაში გადაელობნენ. ამ სტამბის შემდეგ ქუთაისში გაისხნა იყ. კილაძის და ოს. ხელაძის სტამბა, სადაც იბეჭდება დრუ და დრო ქართული წიგნები. აქვე გამოიცენ ქუთაისის ამხანაგობის გამოცემანი. ქუთაისის ოთხ სტამბას მალე მეხუთეც მოემატა, ეს იყო ილ, კუონიას სტამბა, სადაც იბეჭდებოდა გაზეთი მეურნეა. სხვა და სხვა გარემოების მეონებით ამ სტამბაზ დიდხანს ვერ შესძლო არსებობა და მიტომ იგი შეძენილ იქმნა ბ.ბ. კილაძისა და ი. ხელაძისგან, დღეს ქუთაისში სულ ოთხი სტამბა არსებობს, ქუთაისში ამსზე მეტი ვგონებთ ჯერ საჭიროც არ იქმნეს. ჩადგანაც იმერეთ შორის ყოველს დაბასა და ქალაქშიაც იღებიებს სტამბის გახსნის საჭიროება, მაგალითად, საქმე და მიმბამაობა ისე წავიდა მათ შორის, რომ

1887 წ. კოწია ჩითანის ძე თავართქილაძემ თვთი ოზურ-  
გეთშიაც გახსნა ქართული წიგნის საბეჭდი სტამბა. ამ  
სტამბის გახსნის საქმეს გრ. გურიელი დიღის სიხარულით  
მიეგება. პირველ დღესვე შებრძნდა სტამბაში და ასოთ-  
ამწყობს ასე უთხრა: — „,რას კსებად ამას, იმასაც მოკესწარ,  
რომ გურაში, ოზურგეთში, სტამბა კისახე თჯ, თქვენს მარ-  
ჯგნას კი გძნაცხალე, თქვენს მარჯვენას, რათაც-გი მისურ-  
გებთ და დამაკადებთ, მე მზათა კარ, რომ ურკელთვის გემ-  
სასუროთ“. ამ სტამბაში გამოიცა „ვეფხის-ტყაოსანიც“ —  
კი. სხვა და სხვა წვრილი და დიღრონი წიგნებიც, გუ-  
რულები ჩეკარა შეეჩივენენ სტამბის საქმეებს. მათში მალე  
ჩეეულებათ წავიდა ქორწინების და მიცვალებულთა ამ-  
ბების განცხადებათ ბეჭდვა. კ. თავართქილაძემ ამ სტამ-  
ბის გახსნით დიდი სამსახური გაუწია კერძოთ გურულებს  
და საერთოთ ქართველებს. ეს ენერგიული კაცი მარტოთ  
ოზურგეთის სტამბას არ დასჯერდა, იგი გადავიდა სამეგ-  
რენოში და დ. სენაკშიაც გახსნა ქართული წიგნების  
საბეჭდავი სტამბა, სადაც მრავლად იწყეს წიგნების გა-  
მოცემა. კ. თავართქილაძის გარდა სტამბის აღეილათ პო-  
ვნის მეოხედით სხვებმაც იწყეს დრო და დრო წვრილი  
წიგნების გამოცემა. სენაკს შემდეგ ამავე პირმა და ალფ. მიქელაიშვილმა ბათუმშიაც გახსნეს ქართული წიგნების  
საბეჭდავი სტამბა, სადაც პირველად გამოიცენ ქართული  
წიგნები. ჩვენს ძველებს რომ სმენა პქონდესთ, მაშინ  
იგინი ბათუმში ასეთი სტამბის გახსნით მცონი გაიხარებ-  
დენ. ამათ სტამბის გახსნამდის ბათუმში მახარაძესაც ჰქო-  
ნდა სტამბა, სადაც მცირედ ქართული ასოებიც იყო, იგი  
უფრო რუსულ საქმეების კეთებას მისდევდა. კ. თავარ-  
თქილაძის სტამბის გახსნამ ბათუმში ბეერნაირათ იმოქმე-  
და, იმედია იქ წიგნების გამომცემლობაც წარმატებას მი-

ეცემა, ამის ნიშნები ჩვენ უკვე ენახეთ: წიგნთ გამომცე-  
მე: „ ამხანაგობა „გლეხმა“ პირველად ბათუმში ამ სტამ-  
ბილმ დაიწყეს გამომცემლობა,

ზემო ხსენებულ სტამბებთ გარდა ფოთსაც ეღირსა  
სტამბა და 1890 წლებში, იქ გახსნა სტამბა ლევრენტი  
ტულუშშია. ამანაც მოათავსა ქართული ასოები, ქართული  
წიგნებიც გამოსცა. მ: გალიოთად იქ დაიბეჭდა ვრცელი  
საექიმო წიგნი „სიმრთელის კილობანი“, ორი წიგნი ქარ-  
თულის პიესებისა და რამდენიმეც სხვა წვრილი წიგნები.  
ამავე სტამბის პატრონმა პატარა სტამბა ზუგდიდშიაც  
გახსნა, სადაც დღევანდლამდე არსებობს. ზუგდიდის შე-  
მდეგ სოხუმშიაც გახსნეს სტამბა, სადაც სანატრელია,  
რომ ქართული წვრილი წიგნების ბეჭვაც დაიწყონ.  
ასეთსავე საჭიროებას შეადგენს ახალციხეში ქართული  
სტამბის დაარსება და წიგნების ბეჭვდა. ეს არის რიცხვი  
დღევანდლის იმერეთის სტამბების და რაც დრო გადის  
მით მათი მოთხოვნილებაც ერთი ათად მატულობს. ქარ-  
თილსა და კახეთში კი ეს ასე ვერ მიღის, თუმცა ექვთიმე  
ხელაძის წყალობით პატარა სტამბები თელავსა და სიღ-  
ნალსაც გახსნა, სადაც დღევანდლამდინაც არსებობს,  
ორივე ქალაქის სტამბებში წიგნებიც დაიბეჭდა აღრე.  
ჩვენ ვვეგონა, რომ იქ სხვა-და-სხვა გამომცემლებიც იჩნ-  
დნენ თავს, მაგრამ რამდენიმე წიგნაკების გამოცემის შე-  
მდეგ იქ სხვა არავინ გამოჩნდა, არაეინ რა დაბეჭდა.  
ხსენებულ ქალაქების საქმეთა მოწყობას არც გორი ჩა-  
მორჩა, აქ სტამბა გახსნა არ. კალანდაქემ, ეს სტამბა  
დღესაც არსებობს, ქართული ასოებიც აქვს, პირველ  
წიგნათ აქ გამოიცა „მიბაძვა ქრისტესი“ თომა კემუე-  
ლისა, თარგმანი პატრის აწსელმო მღებრიშვილისაგან.  
ვენ სრული იმედი გვქონდა, რომ ამ სტამბიდან სხვა

წიგნებიც გამოიცემოდნენ, მაგრამ ეს ასე არ იქმნა, იქ ხსენებულის წიგნით შეჩერდა გამოცემა. უკანასკნეს წლებში, თვით კავკავის ქართველთაც იგრძნეს ქართული ასოების საჭიროება, კავკავის ერთმა უცხოელმა მესტაბებმ ქართული ასოებიც გააჩინა და იქ ორი ქართული წიგნაკიც დაიბეჭდა. იმედია შემდეგ სხვებიც მიზან ვენ ამ სამაგალითო საქმეებს და წიგნების გამოცემას განაგრძობდნ. სხვა-და-სხვა გარემოებამა და შემთხვევებმა ქართული სტამბების დახსნის საჭიროება საქართველოს გარეშე, უცხო ქვეყნებშიაც იქმნა გამოწვეული. მაგალითებრ: 1850 წ. ვენეციაში, წმ. ლაზარეს მონასტერში, საღაც არსებობდა სომეხ-კათოლიკეთა მხითარისტების სტამბა, იქვე პეტრე ხარისჭირაშეილის მეოხებით ჩამოსხმულ იქმნა ქართული ასოების ახალი ყალიბები, მით ახალი ასოები და იმავ ღრის წიგნების გამოცემაც იწყეს. შემდეგ ეს ასოები იქიდამ პ. ხარისჭირაშეილმა კოსტანტინეპოლის გადმოიტანა, თავისაგან აღშეწებულს მონასტრის ზღუდეთა შორის ერთს სახლში მოათავსა 1870 წ. ეს სტამბა დღვევანდლამდე არსებობს. კოსტანტინეპოლის შემდეგ, პ. ხარისჭირაშეილის მეთაურობით ახალი ქართული სტამბა მონათობანშიაც მოთავსდა (ფრანცია), საღაც ქართველ კათოლიკეთ ბერების მეოხებით რამდენიმე ქართული წიგნებიც გამოიცენ. როგორც ვიცით, დღეს ამ სტამბებში წიგნების გამოცემის საქმე შეჩერებულია, პეტრე ხარისჭირაშეილის სიკედილით საზღვარი მიეცა ასეთ საქმეთა წარმატებას. სამწუხაროა ასეთი დიალი საქმის მომავალში დაკინება. ამ ადგილებთა გარდა 1832 წ. პარიზში აკადემიკმა მარრ ბრისემ ქართულ-ფრანგულის ასოებით ლიტოგრაფიულის ბეჭდვით გამოსცა ქართლის ცხოვრების ნაწილი, რომელსაც ჩერები ამ ისტორიას

„პარიეის ქრონიკა“ ეწოდება. 1845 წ. ტრიესტში, ლი-თოგრაფიულის ბეჭდვით, გამოიცა ქართული წერის დე-დანი, შედგენილი ტარასი არქიმანდრიტისაგან, ვისი გა-მოცემ არას ამისი ჩვენ არა ვიცით-რა.

XVIII საუკ. სტამბეგთა აღწერაში ჩვენ არ ავნიშ-ნეთ შემდგები: 1795 წ. უბედურების შემდეგ, როგორც ნათევამი გვაქეს ზემოთ, თფილისში, ქართული სტამბა მალე განახლდა ისე, რომ 1796 წ. თფილისში ორი-სამი ვრცელი ქართული წიგნიც გამოიცა. განახლებულის სტამბისთვის რუსეთიდამ გამოიწერეს სტანცები და ზო-გიც სხვა იარაღი. ერთი სტანციი, მეფის ბრძანებით, თფილისიდამ სომეხთ კათალიკოზს ლუკაზს გაეგზავნა სა-ჩუქრათ, რადგანაც 1795 წ. მტრისაგან ეჩმიაძინის სო-მეხთ სტამბაც იქმნა შემუსვრილი. ამ სტანციის გაგზაუ-ნის შესახებ 3. იოსელიანსაც აქვს ცნობა.


შევე ერეკლეს და სომეხთ კათალიკოზს ლუკაზს (1780—1799 წ.) შორის დიდი მეგობრობა ყოფილა გა-მართული, ამათ ერთმანერთისთვის ხშირად წერილები უგზავნიათ. ხანდისხან ერთმანერთს დახმარებიან კიდეც-უძმისობა, რასაცირკელია, არც შეიძლებოდა. ამ უკანა-სკნელ წლებში, ეჩმიაძინის სომეხთ კათალიკოზის ძველ წიგნებთა მდივან ხანაში აღმოჩნდა დიდალი წერილები შევე ერეკლეს და ლუკაზ კათალიკოზის ერთმანერთან მიწერილები. აცელა ეს წერილები ერთათ შეკრიბა სომებ მოძღვ. აღნიანმა და 1899 წ. თფილისში ცალკე ტომად დასტაცია ამას ეწოდება «მდივანი სომხეთის ისტორიისა» (1780—1800) სხვათა მასალებთა შორის აქ მოიპოვება შემდევი ცნობაც ჩვენი სტამბის შესახებ.

შევე ერეკლეს და ლუკაზ კათალიკოზს ისეთი მე-გობრობა ჰქონიათ ერთმანერთან, რომ ლუკა კათალი-

კოზს ვითომეტუ შეფეხ ერეკლესთვის ეჩმიაძინის სტაბილამ ერთი  
კარგი სტანცი გამოიყენოს ფეშაშათ. ცნობები მოგვი-  
თხოვთ, რომ ვითომეტ დასაბეჭდს ქალად დასაც შეფეხს კა-  
თალიკოზი უგზავნიდა ეჩმიაძინიდამ. ამის შესახებ ჩევნ  
ში არაფერი ცნობებია დაშოთნილი. გარდა ამის ცნო  
ბები გვაუწყებს, რომ სომეხთ კათალიკოზს ამსტერდამი-  
დამ (პოლანდია) სხვა და სხვა ენების ლექსიკონები გა-  
მოეწეროს და ყველა ესენი მეფე ერეკლესთვის მიერთ-  
მიოს ფეშაშათ. ეს თუ მართალია, მაშინ, ჩევნის ფიქ-  
რით, იგი 1785 წლებში უნდა ყოფილიყო ს. ცნობა არს,  
რომ ესევე კათალიკოზი შუაზღვომლობდა შახრიმიანთან  
მიწერ-მოწერაში, რომელიც მეფე ერეკლეს და მის შო-  
რის აღიძრა 1780 წლებში. ჩევნს ქართველთ სტამბის  
ფა მართვის ისტორიაში არსად არის მოხსენებული ეს  
სომხური ცნობები, რომელთა სიმართლეში ჩევნ ეპვი  
გვაქვს.

სასიამოენო იქმნება, რომ სენებულ საქმეებთა შე-  
სახებ ცნობები ჰყოფილოს, კეშარიტებით კითხვა გა-  
მოირკვეს.

აი, ეს გახლავთ ანგარიში და ისტორია ყველა იმ  
სტამბების, რაც კი 1625—1900 წლამდე საქართველოს  
და მის გარეშე ქვეყნებში დახსინლან და წიგნები უბე-  
ჭდავთ.



ბ. კ.

